



საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

57 სხდომა.

სუთშაბათი, ნოემბრის 7, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე. მდივნობს პარლამენტის მდივნის ამხანაგი იოსებ აბაქელია. კრება იხსნება დღის 12 ს. და 10 წუთზე. თავმჯდომარე კრება ვახსნილი გახლავთ, მდივანი მოგახსენებთ დღიურ წესრიგს.

დღიური წესრიგი.

- მდივანი (კითხულობს). 1. გაგრძელება მსჯელობისა აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შედგენისა. მომხსენებელია პარლამენტის წევრი ჯავთ ანიაშვილი.
- კანონ-პროექტი სახელმწიფო ხაზინის მოწყობისა. მომხსენებელია პარლამენტის წევრი იახონ ლაბთქიფანიძე.
- კანონ პროექტი სათამაშო ქალაქებზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ. მომხსენებელია პარლამენტის წევრი ალ. ახათიანი.
- კანონ-პროექტი გასართობებზე შესავალ ბილეთების გადასახადის ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ. მომხსენებელია პარლამენტის წევრი ალ. ახათიანი.
- კანონ-პროექტი 1916 წლის ნოემბრის 23 კანონის გასართობების შესავალის სამხედრო გადასახადის შესახებ შესვლისა. მომხსენებელი არიან ი. აბაქელია და ალ. ახათიანი.
- კანონ-პროექტი სხვა და სხვა უწყების საქალების ხაზინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ. მომხსენებელია პარლამენტის წევრი ნაც ცინცაძე.
- შეკითხვა დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციისა შთაბრძნობისა და სახელმწიფო კონტროლიორისადმი—30 მილიონიან ფონდის შესახებ.
- შეკითხვა პარლამენტის წევრთა ნ. თარხანოვისა და ლეონ თუმანოვის იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრებისადმი სასამართლოს განუსჯელად პოლიტეკურ პატიმართა ბუღუ მდივანის და სხვ. სატუსაღოში უბრალოდებო დამწყვდევის შესახებ.
- შეკითხვა პარლამენტის წევრის დავიდხანოვისა შინაგან საქმეთა და



სამხედრო მინისტრებისადმი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოების გამოქვეყნების საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

პარლამენტი ამტკიცებს დღიურ წესრიგს.

გაგრძელება მსჯელობისა აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შედეგის შესახებ-

თავმჯდომარე სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ონიაშვილს.

დ. ონიაშვილი. მე ეხლა მოგახსენებთ, პარლამენტის წევრობა, ხარჯთ-აღრიცხვას რომელიც დართული აქვს იმ კანონ-პროექტს რომელიც თქვენ უკვე მიიღეთ წარსულ კრებაზე.

კანონ-პროექტი შეეხება სტატისტიკის განყოფილების გახსნას. ეს განყოფილება იმოქმედებს, საპიწათმოქმედო საბინისტროში. ხარჯთ-აღრიცხვა აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული დაწვრილებით ანგარიში არის მოყვანილი.

მე ამას არ წავიკითხავ, პირდაპირ მოგახსენებ ჯამს. ამ ხარჯთ-აღრიცხვაში საანგარიშო მუშაობისთვის ნაანგარიშეა სულ 262,200 მ. შემდეგ ამ საანგარიშო მუშაობისათვის გადადებულ ჯამს დაემატება შტატები ამ სტატისტიკური მუშაობის ორგანიზაციისათვის და მის დასამთავრებლად ექვსი თვის განმავლობაში—78,400 მ. ამას უნდა დაემატოს საკანცელარიო ხარჯები რაიც უდრის 17 ათას მანეთსა და თუ შევადრობთ ამ სამ ჯამს ერთად გამოდის ის რიცხვი, რომელიც აღნიშნულია კანონ-პროექტში, სახელდობრ 391,600 მ. და რომელიც თქვენ გუშინ მიიღეთ.

თავმჯდომარე. კენჭს უყრი ხარჯთ-აღრიცხვას, ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ეხლა კენჭს უყრი საერთოთ მთელ კანონ-პროექტს: მიღებულია და გადაიყვანა სარედაქციო კომისიას. შემდეგ კანონ-პროექტის მომხსენებელი პარლამენტის წევრი ალექსანდრე ასათიანი.

კანონ-პროექტი გასართობებზე შესვლის ბილეთების გადასახადის ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ.

ა. ასათიანი ფინანსთა სამინისტროს კანონ-პროექტი, შეეხება შესავლელ ბილეთების გადასახადის, ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ.

კანონ-პროექტი არსებითად არ სცვლის დღევანდელ მდგომარეობას, იმით, რომ საფუძვლად გადასახადისა დადებულია ბევარი ხაზინის სასარგებლოდ.

უწინ ყველა ეს შემოსული გადასახადი ჩარიცხებოდა მარიამ დედოფლის უწყების სასარგებლოდ, რომელიც წმინდა რუსული დაწესებულება იყო. ამ ქაშაუ საქართველოს სახელმწიფოში ეს უწყება, რა თქმა უნდა აღარ იმყოფება და ამიტომ ფინანსთა სამინისტრო იძლევა წინადადებას, რომ მომავალში ყველა ეს შემოსავალი ჩარიცხოს ხაზინის შემოსავლად. მარიამ დედოფლის უწყებების მზგავსა უწყება საქართველოს საკუთარ ფარგლებში არ მოიპოვება.

კანონ პროექტი არის შემდეგის სახით. (კითხულობს).

კანონ-პროექტი ფინანსთა მინისტრისა გასართობებზე შესავლელ ბილეთების გადასახადის ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ.

1. გასართობებში სანახაობზე შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული დროებითი სახელმწიფო გადასახადი, აგრეთვე ამ გადასახადის გაღების დებულებების დარღვევით და დარჩენილ გადასახადის შეუტანლობით გამოწვეული ჯარიმა ჩარიცხვის შემოსავლად სახელმწიფო გადასახადების სერთო წესით.

2. კანონ-პროექტი შედის ძალაში 1918 წ. 26 მაისიდან.

თავმჯდომარე ვის ჰურს სიტყვა საერთოდ კანონ-პროექტის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს აკაკი ფალავა.

აკაკი ფალავა (ს. ფ.) აქ არის ერთი გაუგებრობა, არ ვიცი მგონი არც სარედაქციო შესასწორებლად შეიძლება ჩაითვალოს, ჩემი შესწორება—აქ სწერია: (კიბულობს) გასართობებში—სანახაობაზე შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული დროებითი მაგრამ დროებითის გარდა, იმ გადასახადებში შედის კიდევ მუდმივი გადასახადი.

მართალია მარიამ დედოფლის უწყების გადასახადი არ სეზობს, როგორც ასეთი, დროებით გადასახადის სახით, მაგრამ მოგვხსენებთ თქვენ, რომ ამ დროებით გადასახადის გარდა არის გადასახადი ბილეთზე 2.50 კა უფრო ძველად კი—10 კ. ეს არის მუდმივი გადასახადი. და როდესაც ვკითხულობთ დროებითი გადასახადი უნდა ვიცოდეთ, რომ ეს შემდეგ წაეშა ტა სამხედრო ბეგარის სახით.

გამოდის რომ ეს დროებით სახედრო გადასახადი გადარიცხვით ხაზინაში, რაც შეეხება ძირითად გადასახადს ეს კი რეზერვაში ჩამოკიდულა. მე განმარტებას ვთხოვ მომხსენებელს, იგულისხმება თუ არა ამ ძირითად გადასახადის ხაზინაში გადარიცხვა თუ არა. ამასთან შეიძლება სარედაქციო კომისიას დაევალოს ამ აზრის ნათლად გამოთქმა.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ალექსანდრე ახათიანი. ის გადასახადი, რომელსაც ჩვენ დროებით გადასახადის სახელს ვუწოდებთ და, რომელიც ირიცხება მარიამ დედოფლის სახელობის გადასახადთა უწყების სასარგებლოდ, არის სახელდობრ დროებით სახის გადასახადი.

ამ გადასახადს ჩვენ დროებით გადასახადის სახელს ვუწოდებთ. მართალია დრო შეიცვალა; საგრამ ამ გადასახადს სახელი დროებითი, რომელიც დაერქვა თავიდანვე, შერჩა და ეხლა კიდევ ჩვენ დროებით სახელს ვაძლევთ. რაც შეეხება იმ გადასახადს, რომელიც აქ აღნიშნა ბ. ფალავამ იმ გადასახადს ჩვენ ვთვლით სამხედრო გადასახადად, ეს გადასახადი დღემდის არსებობს.

ეს დროებითი გადასახადი მარიამ დედოფლის უწყების სასარგებლოდ იყო, მითამ, სანამ სამხედრო გადასახადს შემოიღებდნენ. ჩვენი კანონ-პროექტის ძალით ეს გადასახადი, რომელიც უწინ მარიამ დედოფლის უწყების სასარგებლოდ ირიცხებოდა, ამ მარიამ დედოფლის უწყებიდან, ფინანსთა მინისტრის წინადადებით, უნდა გადაირიცხოს ხაზინაში. რაც შეეხება მეორე გადასახადს, მეორე გადასახადის შესახებ, რამდენადაც მე ვიცი, კანონ-პროექტი უკვე მზადდება და ნალე მოხსენდება პარლამენტს.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ კანონ-პროექტისა? მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.



თავმჯდომარე. მუხლმძრივ უნდა განიხილოს თავმჯდომარე. ინგბეთ ბატონო, (მომხსენებელს) ვთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

ალ ასათიანი (კრიზულობს) გასართობებში სანახაობაზე შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული დრაგებითი სახელმწიფო გადასახადი, აგრეთვე ამ გადასახადის გაღების დებულების დარღვევით და დარჩენილ გადასახადის შეუტანლობით გამოწვეული ჯარიმა ჩაირიცხოს შემოსავლად სახელმწიფო გადასახადების საერთო წესით.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა პირველ მუხლის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს მელიტონ რუსიას.

მელ. რუსია. (ს. დ.) ვინაიდან რუსულ ტექსტში სწერია: **увселеиия** и **архлиша** და ამ კანონ-პროექტის სათაურში კი ლაპარაკია მართო გასართობებზე, ჩვენი ფრაქცია, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წინადადებას იძლევა, რომ შეტანილი იყოს შემდეგი შესწორება გასართობები და სანახავერი.

პირველ მუხლში სიტყვის **ჯარიმის** შემდეგ, ჩაემატოს: 1918 წ. 26 მაისიდან. ვინაიდან ეს დღე არის, დღე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

თი სწორედ აქედან უნდა გადავიდეს სუყველა ეს ჯარიმა ბაზინის სასარგებლოდ.

ამიტომ ჩვენი ფრაქცია წინადადებას იძლევა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს იასონ ლორთქიფანიძეს.

იასონ ლორთქიფანიძე. (ერ.-დემ.) მე ჩგონია, ბატონებო გაუგებრობის ასაცილებლად, სიტყვა **დროებით** უნდა იყოს ამოშლილი. აქ არის სიტყვა „დროებითი გადასახადი“, კანონში პირდაპირ უნდა იყოს აღნიშნული რა გადასახადია და რა სავანს ეხება.

მ. მომხსენებელმა განმარტა, რომ დროებითი გადასახადი ეწოდება ყველა გადასახადს მარიამ დედოფლის უწყების სასარგებლოდ, მაგრამ ვინაიდან, საზოგადოდ, საზღვრო ბეგარაც დროებითია.

ამიტომ ჩვენ უნდა გამოვტოვოთ სიტყვა **დროებითი**, მაშინ გამოვა, რომ ყველა გადასახადები სანახავერებზე შევა არა მარიამ დედოფლის უწყებაში, არამედ შევა საქართველოს რესპუბლიკის ბაზინაში.

ეს სიტყვა **დროებითი**, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა ამოვივშალოთ.

თავმჯდომარე. ვის ნებაგს სიტყვა?

ვინ არის წინაილმდეგო, რომ ამოიშალოს სიტყვა **დროებითი**?

ვინ არის მომხრე, რომ დარჩეს? (კენჭის ყრა).


მომხრე არის 24.

წინაილმდეგი 10 მაშასადამე ეს სიტყვა რჩება.

არის ერთი წინადადება შემოტანილი სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის მიერ; სათაურში დაემატოს სიტყვა „სანახავერებზე“. ვინ არის მომხრე, რომ დაემატოს ეს სიტყვა **სანახავერებზე**? (კენჭის ყრა) მაშასადამე შეტანილი იქნება ეს სიტყვა.

ვარდა ამინა, აქ არის კიდევ შესწორება, რომ იყოს ჩამატებული სიტყვები 1918 წ. 26 მაისიდან. (ხმა: ეს სწერია).

ეს სწერია მეორე მუხლში და წინადადებაა შემოტანილი, რომ ეს მეორე მუხლი იყოს პირველ მუხლში. ვინ არის წინაილმდეგი? მაშასადამე მიღებულია. ვთხოვთ მეორე მუხლი.



მელ. რუსია: ვინაიდან, პირველ მუხლში ჩვე უკვე ვსთქვით, რომ ყველა გადასახადები და ჯარიმები 26 მაისიდან გადაირიცხოს ხაზინაში, მეორე მუხლი უსარგებლოა და ამიტომ ჩვენი ფრაქცია წინადადებას იძლევა, რომ ეს მუხლი ამოიშალოს.

თავმჯდომარე: ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ალ. ასათიანი: მას შემდეგ, რაც მივიღეთ წინადადება, რომ პირველ მუხლში შეგვეტანებ ის, რაც მეორე მუხლში იყო, რა თქმა უნდა, მეორე მუხლი შედმეტია და უნდა ამოიშალოს.

თავმჯდომარე: ვინ არის მომხრე, რომ ამოიშალოს მეორე მუხლი? (კენჭის ყრა). მაშასადამე ეს მუხლი ამოშლილია და კანონ პროექტი მიღებულია.

მეორე კანონ-პროექტის მომხსენებელია პარლამენტის წევრი კიკვაძე (ხმა კიკვაძე არ გახლავთ) მოგახსენებთ, — ლორთქიფანიძე.

იასონ ლორთქიფანიძე: ფინანსთა სამინისტრომ შემოიტანა ახალი კანონ-პროექტი საქართველოში ხაზინების დაარსებისა.

ამ კანონ-პროექტით არავითარი ძირითადი ცვლილებები არაა შეტანილი იმ დაწესებულებებში, რომელიც არსებობდა რუსეთის თვითმპყრობელობის დროს. რჩება იგივე შემადგენლობა როგორც თვით ხაზინისა ისე მოსამსახურეთა რიცხვისა, მაოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ეს ხაზინები სხვა და სხვა რიგში ანუ რუსულად რომ იტყვიან „რაზრიადში“, არის აღნუსხული.

გარდა ამისა, სიძვირის გამო მომატებულია ჯამაგირები.

მთელი ხაზინები საქართველოში 4 წყობად არის გაყოფილი.

პირველ წყობას ეკუთვნის: ქუთაისის ხაზინა, მეორეს ფოთის, სოხუმის, გორის, მიხაილოვის.

მესამე — ქიათურის, ყვირილის, ზაქათალის, თელავის, სიღნაღის.

მეოთხე — გომისა, შულავერისა, დუშეთისა, ხონისა.

ტფილისის ხაზინა წყების გარეშეა, რადგანაც ეს შეიაროლებს და ასრულებს ეხლაც საერთოდ მთელი ხაზინის ფულს.

ეს ხაზინები დანაწილებულია სხვა და სხვა წყებად ამისდა მიუხედავით, თუ რამდენი ოპერაცია არის იქ, და რამდენი შემოსავალი.

ამისდა მიუხედავით, თუ რამდენად რთული არის ოპერაცია და რამდენად რთული შემოსავალი და გასავალი, ჯამაგირიც, რასაკვირველია, მეტი აქვთ მოხელებს.

მთელი კანონ-პროექტი შესდგება 4 მუხლიდან.

თავმჯდომარე: ვის ნებავს სიტყვა ამ კანონ-პროექტის შესახებ?

სიტყვა არავის ნებავს.

ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე?

გთხოვთ კიდევ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

ლორთქიფანიძე: (კითხულობს) არსებულ კანონში საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის, მის განყოფილებათა და მათ შტატების შესახებ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ყველა ხაზინები დაეწყოს ოთხ წყებად.

ა) პირველ წყებაში ითვლება ქუთაისის ხაზინა.

ბ) მეორეში: ფოთის, სოხუმის და გორის ხაზინები.

გ) მესამეში: ყვირილას, ქიათურის, სენაკის, ზაქათალის, თელავის და სიღნაღის ხაზინები.



დ) მეოთხეში:—ონის, დუშეთის და შულავერის ხაზინები.

ტფილისის ხაზინა დატოვებულ იქნეს წყების გარეშე.

თავმჯდომარე. ვინ ნებავს სიტყვა? არავის. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია 1 მუხლი.

ლორთქიფანიძე (კითხულობს) 2. ყველა მოსამსახურეთა თანამდებობა ხაზინებში და ჯამაგირების რაოდენობა შემოღებული იქნას ამასთანავე დართულ შტატების თანახმად.

თავმჯდომარე. კენჭს უყრი 2 მუხლს. ვინ არის წინააღმდეგი? (კენჭის ყრა) მიღებულია.

ლორთქიფანიძე. (კითხულობს) 3. გადაიდოს სახელმწიფო თანხიდან ამ კანონთან დართული შტატების თანახმად. ამა 1918 წ. 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ექვსასი ათას ცხრასასი (600900) მანეთი.

თავმჯდომარე. უყრი კენჭს მესამე მუხლს. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლორთქიფანიძე (კითხულობს) 4. არსებული კრედიტი ხაზინების მოხელეთა ჯამაგირებისათვის დახურულ იქნეს სრულიად.

თავმჯდომარე. კენჭს მეოთხე მუხლს, მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შტატები

იასან ლორთქიფანიძე (კითხულობს).

საქართველოს რესპუბლიკის ხაზინების შტატი.

ტფილისის ხაზინა.

ხაზინადარი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 9000 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 9000 მ. ყველას 1 სექტემბრ. 1918 წლის დამლევამდე 3000 მ.

მისი თანაშემწე 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 8100 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 8100 მ. ყველას 1 სექტემბრ. 1918 წლის დამლევამდე 2700 მ.

უფროსი ბუხალტერი 1. წლიურად ჯამაგირი თვითეულს 8100 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 8100 მან. ყველას 1 სექტემბრ 1918 წლის დამლევამდე 2 00 მან.

უფროსი კასირი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 7200 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 7200 მან. ყველას 1 სექტემბრ. 1918 წლის დამლევამდე 2400 მან.

ბუხალტერი და კასირი 1 ხარისხისა 16. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6600 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 105600 მ. ყველას 1 სექტემბრ. 1918 წლის დამლევამდე 35200 მ.

ბუხალტერი და კასირი 2 ხარისხისა 15. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6000 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 90000 მ. ყველას 1 სექტემბრ. 1918 წლის დამლევამდე 30000 მ.

საქმისმწარმოებელი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6000 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 6000 მან. ყველას 1 სექტემბრ. 1918 წლის დამლევამდე 2000 მან.

მოანგარიშე 8. წლიური ჯამაგირი თვითეულს 5400 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 48200 მ. ყველას 1 სექტემბრ. 1918 წლის დამლევამდე 14400 მ.

რეგისტრატორი 1 ხარისხისა 7. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 38600 მ. ყველას 1 სექტემბრ. 1918 წლის დამლევამდე 11200 მ.

რეგისტრატორი 2 ხარისხისა 14. წლიურად ჯამაგირი თვითეულს 4200 მ. წლიურად ჯამაგირი ყველას 58800 მ. ყველას 1 სექტემბრ. 1918 წლის დამლევამდე 19600 მ.

ნაფიცი დამთვლელი 18. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 86400 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 28800 მან.

დარაჯი 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 7200 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 2400 მ.

სულ წლიური ჯამაგირი ყველას 463200 მ. ყველას 1 სექტემბრ. 1918 წლის დამლევამდე 154400 მ.

ხაზინები 1 რიგისა.

ქუთაისის ხაზინა.

ხაზინდარი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 8100 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 8100 მან. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 2700 მან.

უფროსი ბუხალტერი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 7200 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 7200 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 2400 მ.

უფროსი კასირი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6600 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 6600 მან. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 2200 მან.

ბუხალტერი და კასირი 1 ხარისხის 5. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6000 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 30000 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 10000 მ.

ბუხალტერი და კასირი 2 ხარისხისა 7. წლიურად ჯამაგირი თვითეულს 5400 მ. წლიურად ჯამაგირი ყველას 37800 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 12600 მ.

მოანგარიშე 5. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 24000 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 8000 მ.

საქმისწარმოებელი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 5400 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 1800 მან.

რეგისტრატორი 1 ხარისხისა 5. წლიურ ჯამაგირი თვითეულს 3600 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 18000 მან. ყველა 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 6000 მან.

რეგისტრატორი 2 ხარისხისა 10. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3000 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 30000 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 10000 მ.

ნაფიცი დამთვლელი 11. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 39600 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 13200 მ.

სულ წლიური ჯამაგირი ყველას 208700 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 78900 მ.



წლიური ჯამაგირი სულ 15000 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 5000 მან.

ნაფიცი დამთვლელი 6. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მან. წლიური ჯამაგირი სულ 21600 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 7200 მან.

სულ წლიური ჯამაგირი სულ 101400 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 33800 მან.

გორის ხაზინა.

ხაზინდარი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 7800 მ. წლიურად ჯამაგირი სულ 7800 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 2600 მ.

უფროსი ბუხალტერი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 7200 მან. წლიური ჯამაგირი სულ 7200 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 2400 მ.

კასირი და ბუხალტერი 1 ხარისხისა 3. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6000 მ. წლიური ჯამაგირი სულ 18000 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 6000 მ.

კასირი და ბუხალტერი 2 ხარისხისა 3. წლიური ჯამაგირი 5400 მ. წლიური ჯამაგირი სულ 16200 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 5400 მან.

მოანგარიშე 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. წლიური ჯამაგირი სულ 9600 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 3200 მ.

რეგისტრატორი 1 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მ. წლიური ჯამაგირი სულ 7200 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 2400 მან.

რეგისტრატორი 2 ხარისხისა 3. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3000 მ. წლიური ჯამაგირი სულ 9000 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 3000 მან.

ნაფიცი დამთვლელი 6. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მ. წლიური ჯამაგირი სულ 21600 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 7200 მ.

სულ წლიური ჯამაგირი ყველას 96600 მ. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 32200 მ.

ხაზინები მესამე რიგისა.

თელავის ხაზინა.

ხაზინდარი 1 წლიური ჯამაგირი თვითეულს 7500 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 7500 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წ. დამლევამდე 2500 მ.

უფროსი ბუხალტერი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6600 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 6600 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წ. დამლევამდე 2200 მან.

კასირი და ბუხალტერი 1 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 5400 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 10800 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წ. დამლევამდე 3600 მ.

მოანგარიშე ბუხალტერი 2 ხარისხისა 3. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 14400 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1919 წ. დამლევამდე 4800 მ.



ჯამაგირი ყველას 6600 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 2200 მან.

ბუხპალტერი და კასირი 1 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 5400 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 10800 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წ. დამლევამდე 3600 მ.

ბუხპალტერი და კასირი 2 ხარისხისა 3. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 14400 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წ. დამლევამდე 4800 მან.

მონაგარიშე 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4200 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 4200 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 1400 მ.

რეგისტრატორი 1 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 7200 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 2400 მ.

რეგისტრატორი 2 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3000 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 6000 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წ. დამლევამდე 2000 მან.

ნაფიცო დამთვლელი 10. წლიურ ჯამაგირი თვითეულს 3600 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 36000 მან. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 12000 მან.

სულ წლიური ჯამაგირი ყველას 92700 მან. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 30900 მან.

კიათურის ხაზინა.

ხაზინადარი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 7500 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 7500 მ. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 2500 მ.

უფროსი ბუხპალტერი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6600 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 6600 მან. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 2200 მან.

ბუხპალტერი 1 ხარისხისა 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 5400 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 5400 მან. ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 1800 მან.

მონაგარიშე 1 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4200 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 8400 მან. ყველას 1 სექტ. წლის დამლევამდე 2800 მან.

მონაგარიშე 2 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 7200 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 2400 მან.

ნაფიცო დამთვლელი 10. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 36000 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 12000 მან.

სულ წლიური ჯამაგირი ყველას 71100 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 23700 მან.

სენაკის ხაზინა.

ხაზინადარი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 7500 მ. წლიური ჯამაგირი ყველას 7500 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 2400 მან.

სულ წლიური ჯამაგირი ყველას 80100 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 26700 მან.

მეოთხე რიგის ხაზინები.

ოზურგეთის ხაზინა.

ხაზინადარი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 7200 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 7200 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 2400 მან.

უფროსი ბუხვალტერი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6800 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 6800 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ბუხვალტერი 1 ხარისხისა 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 5300 მან.

წლიური ჯამაგირი ყველას 5400 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 1800 მან.

ბუხვალტერი და კასირი 2 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 9600 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 3200 მან.

რეგისტრატორი 1 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 7200 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 2400 მან.

რეგისტრატორი 2 ხარისხისა 3. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3000 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 9000 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 3000 მან.

ნა ტიცი დამთვლელი 10. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 36000 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 12000 მან.

სულ წლიური ჯამაგირი ყველას 80700 მან. ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 26900 მან.

დუშეთის ხაზინა.

ხაზინადარი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს, 7,200 მან., წლიური ჯამაგირი ყველას 7,200 მან., ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 2,400 მან.

უფროსი ბუხვალტერი 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6,300 მან., წლიური ჯამაგირი ყველას 6,300 მან., ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 2,100 მან.

ბუხვალტერი 1 ხარისხისა 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 5,400 მან., წლიური ჯამაგირი ყველას 5,400 მან., ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 1,800 მან.

ბუხვალტერი 2 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4,800 მან., წლიური ჯამაგირი ყველას 9,600 მან., ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 3,200 მან.

რეგისტრატორი 1 ხარისხისა 1. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3,600 მან., წლიური ჯამაგირი ყველას 3,600 მან., ყველას 1 სექტემბრიდან 1918 წლის დამლევამდე 1,200 მან.



4,500 მან., წლიური ჯამაგირი ყველას 9,600 მან., ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 3,200 მან.

ბუხბალტერი 1 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3,600 მან. წლიური ჯამაგირი ყველას 6,000 მან., ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 2,000 მან.

ბუხბალტერი 2 ხარისხისა 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3,000 მან., წლიური ჯამაგირი ყველას 6,000 მან., ყველას 1 სექტემბრ. წლის დამლევამდე. ნაფრცი დამთვლელი 10. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3,600 მან., წლიური ჯამაგირი ყველას 36,000 მან., ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 36,000 მან.

სულ წლიური ჯამაგირი ყველას 77,700 მან., ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 25,900 მან.

სულ საერთო ჯამი გამოდის წლიური ჯამაგირი ყველას 1,802,700 მან., ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე 600,900 მან.

თავმჯდომარე. ვის ნებაჲს სიტყვა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ? **გაბაშვილი.** რევაზ გაბაშვილი. რამდენადაც გავიგე ეს შტატები ჯერ მიღებულათ არ არის ცნობილი. ვიდრე მას პარლამენტი მიიღებდეს, ერთი საზოგადო შენიშვნა უნდა გავაკეთო.

ზოგიერთი თანამდებობა მეტისმეტად მცირედ არის შეფარებული. მაშინ, როდესაც ხაზინადარი და მისი თანაშემწე, არიან დაჯილდოვებული 700—600 მანეთით, ბუღალტერი და იმის მომდევარი მოსამსახურეები დაჯილდოვებულ არიან 300—400 მანეთით.

ჩვენ ვიცით, რომ ეხლანდელ პირობებში 300 მან. ცხოვრება შეუძლებელია. ეს ნიშნავს დაკანონებას იმ მდგომარეობისას, რომელშიაც ვიმყოფებით დღეს. ყველა ის მოსამსახურეები, რომელსაც არ აქვთ საკმაო ჯამაგირი, რომ პირველი მოთხოვნილება დააკმაყოფილონ, იძულებული არიან ან იშოვნონ გარეშე სამსახური, ან მიმართონ ისეთ საშუალებას, რომელსაც მიმართავენ ხოლმე ამისთან მდგომარეობაში.

ჟემეტესი ნაწილი, სამწუხაროთ, ჩვენ სახელმწიფოსი—ქრთამემს იღებს და ხაზინას ცარცვას ამიტომ მე შემომაქვს წინადადება, თუ მისაღებია დემოკრატიულ პრინციპით, სწოვრედ დაბალ მოსამსახურეებს, რომელსაც აქვთ 300 მ., მინისტრის განხრახკით, ჯამაგირა მოპატებული ჰქონდეთ სულ მცირედი 50%, რომ მათ შეეძლოთ ცოტად თუ ბევრათ თავიანთი პირადი და ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

თავმჯდომარე. ვის ნებაჲს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

დოქტორი ფანიძე. ბატონებო, 30—25 თუმანი, ჩვენს შტატებში დანიშნული აქვს დარაჯებს და ნაფიც მოხელეებს, და რაც შეეხება იმ მოსამსახურეებს, რომელთა შესახებ ბრძანა ბატონ ვეშაპელმა, არც ერთს არ აქვს 500—600 მ. ნაკლები (რ. გაბაშვილი: რაც თქვენ წაიკითხეთ, ეს იყო!). საზოგადოდ ეს შტატები ისე არის შედგენილი, რომ მოსამსახურეებს 200—300 მან. ემატებათ იმ ჯამაგირზე რასაც დღემდე იღებდნენ. აი მაგალითად, ტფილისის ხაზინადარს ჰქონდა 6.200 მ., ეხლა დაენიშნად 9.000 მ. წლიურად.

უფროსს კასირს ჰქონდა 5.200 მ. ეხლა დაენიშნათ 7200 მ. წლიურად, (ბუხბალტერს პირველ ხარისხისა ჰქონდა 4400 მ. ეხლა დაენიშნათ 6600 მ. და სხვა).

აი, საერთოდ ჭრთი შეცვლა მოახდინა საფინანსო კომისიამ წარუდგენილ შტატებში. ეს იყო, რომ დარაჯებს, რომელიც ტფილისის ხაზინაში არი-



ან ჰქონდათ აღნიშნულ შტატებში 2700 მ. წლიურად. საფინანსო კომისიის საზოგადო სახელმძღვანელოდ აქვს დაბალ მოსამსახურეთათვის არა ნაკლები 250 მ. თვეში. ჩვენც ასე მოვიქცევის და უმცროს დარაჯებს დაუნეშნეთ თვით თულს თვეში 250 მან.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა და სხვა წყების ხაზინებში სხვა და სხვა ჯამაგირებია დანიშნული. მაგალითად ქუთაისის ხაზინადარს ეძლევა 8100 მ. ეს პირველ წყების ხაზინისა.

მეორე წყების ხაზინაში—ეძლევა 7800 მ.

ეს ვახლავთ მეორე წყების ხაზინა. შემდეგ მესამე წყების ხაზინაში—ხაზინადარს ეძლევა 7500 მ.

ასე რომ, თუმცა სიძვირე მატულობს, ჯამაგირები ბევრი არ არის, მაგრამ შედარებით იმისთან, რასაც იღებდნენ ეს კარგი მომატება არის. ყოველ შემთხვევაში ეს დროებითი მომატებაა, რომელიც 1 იანვარამდის უნდა გასწიოს ხაზინამ.

1 იანვარს უწყებამ უნდა წარმოადგინოს თავის შტატები, და ეს შტატები ხელახლად უნდა განიხილოს საფინანსო კომისიამ. ჩვენის აზრით, როგორც სამინისტრომ წარმოადგინა და საფინანსო კომისიის დათანხმდა, ეს უნდა პარლამენტმა დაამტკიცოს.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ შტატებისა? მიღებულია. ვინ არის წინააღმდეგი მთლად კანონ-პროექტისა? არავინ. საერთოდ კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა კომისიას. შემდეგ კანონ პროექტის მომხსენებელია ასათიანი.

განხილვა კანონ-პროექტისა სახელმწიფო ქალაქებზე მონოპოლიის დაწესების შესახებ.

ალ. ასათიანი (ნ. დ.). ეს კანონ-პროექტი, რომელიც წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს მიერ, შეეხება სათამაშო ქალაქს. სათამაშო ქალაქების დამზადება და მისი გასაღება საქართველოს საზღვებში ცხადდება საქართველოს სახელმწიფოს მონოპოლიად. რუსეთშიაც სათამაშო ქალაქი იყო გამოცხადებული სახელმწიფო მონოპოლიად, და მთელი თანხა ამ ქალაქის შემოსავლისა ხპარდებოდა ობოლთა თავშესაფარის უწყებას.

ფინანსთა სამინისტრო წინადადებას იძლევა, რომ საქართველოს სახელმწიფოში სათამაშო ქალაქის დამზადება რ გასაღება მის მონოპოლიად გამოცხადდეს და მთელი შემოსავალი ამ ოპერაციებიდან გადავიდეს ხაზინის სასარგებლოდ. ვინაიდან იმ უწყების მზავსი დაწესებულება ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ აიტომ გვგონია, რომ ეს შემოსავალი საერთო წესით უნდა ხაზინაში გადაირიბოს.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა საერთო კანონ-პროექტის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე. არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ პარეელი მუხლი.

ასათიანი. (კითხულობს).

კანონ-პროექტი ფინანსთა მინისტრისა სათამაშო ქალაქებზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ.

1. სათამაშო ქალაქის დამზადება საქართველოს ტერიტორიაზე გამო-



ცხადებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფოს მონოპოლიად. უკვე დამზადებული სათამაშო ქალაღი გადაიდოს სახელმწიფო საკუთრებად.

თავმჯდღეობარე. ვის ნებას სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს კიკვაძეს.

კიკვაძე. კანონ-პროექტის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ ქალაღდის დამზადების საქმე გამოცხადდეს სახელმწიფოს მონოპოლიადო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ქალაღი არის ძველი დამზადებული, და ამ შეზღუდვაში ეს ძველი დამზადებული ქალაღი უნდა იყოს სახელმწიფოს სასარგებლოდ, ამიტომ სოციალდემოკრატიულ ფრაქციას შემოაქვს ასეთი დამატება 1 მუხლში: უკვე დამზადებულ სათამაშო ქალაღი გადაიდოს საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებად.

თავმჯდღეობარე. ასეთი დამატება არის 1 მუხლში. ვის ნებას სიტყვა? არავის. მომხსენებელი.

ა. ასათიანი. მე ვფიქრობ, რომ საფინანსო კომისია არაფერი არ ექნება საწინაღმდეგო იმისა, რომ ეს დამატება იქნეს მიღებული.

თავმჯდღეობარე. უყრი კენჭს წინადადებას რომელიც შემოიტანა სოციალდემოკრატიულ ფრაქციამ 1 მუხლი. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ა. ასათიანი. მუხლი მეორე:

2. სათამაშო ქალაღდის გაყიდვიდან აღებული ფული ჩაირიცხოს საქართველოს ხაზინის შემოსავლად.

თავმჯდღეობარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევს კიკვაძეს.

თ. კიკვაძე მეორე მუხლში სწერია: ფული, რომელიც შემოვა, ქალაღდის გაყიდვიდან ჩაირიცხოს საქართველოს ხაზინის შემოსავლად. მაგრამ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ის დრო, რომლიდანაც ეს ფული ირიცხება სახელმწიფოს ხაზინაში, ამიტომ მე წინადადებას ვიძლევი ამ მუხლს უნდა დაემატოს: „1918 წ. 26 მაისიდან“. ესე იგი დრო განისაზღვრება 26 მაისიდან, დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

თავმჯდღეობარე. ვის ნებას სიტყვა ამ წინადადების შესახებ? არავის. მომხსენებელი.

აღ. ასათიანი. მესამე მუხლი ამ კანონ-პროექტისა იმავე შედეგს მოგვცემს, რასაც ეს წინადადება ამბობს, რომელიც შემოიტანილია სოციალდემოკრატიულ ფრაქციის მიერ.

თუ ეს წინადადება მიღებული იქნება, მე ვფიქრობ, რომ ამის წინააღმდეგ საფინანსო კომისია არ წავა, მაშინ მე ვფიქრობ, რომ მესამე მუხლი უნდა მოიხსნას. (ხმა: დიახ!)

თავმჯდღეობარე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ მეორე მუხლში შეტანილი იყოს ეს დამატება? არავინ. წინადადება მიღებულია.

თვე. კიკვაძე. ვინაიდან მეორე მუხლი მიღებულია, მესამე მუხლი ჰგარგავს თავის მნიშვნელობას და უნდა მოიხსნას.

თავმჯდღეობარე. მესამე მუხლი მოხსნილია. ვინ არის წინააღმდეგი მთლად კანონ პროექტის? მთლად კანონ-პროექტი მიღებული გახლავთ? შემდეგ კანონ-პროექტის შესახებ მომხსენებელი გახლავთ პარლამენტის წევრი ი. აბაკელია.

კანონ-პროექტი 1916 წ. ნოემბრის 22 კანონის გასართობების შემოსავლის სამხედრო გადასახადის შეცვლისა შესახებ.

იხებ აბაკელია. (ს. რ.) ბატონებო, 22 ნოემბრის 1915 წ. კანონის შეცვლის შესახებ. ეს კანონ-პროექტი ხელოვნების კომისიამ შეიმუშავა მხოლოდ



იმ მოსაზრებით, რომ დახმარება გაეწია ხელოვნებისათვის საერთოდ და კერძოდ, თეატრისათვის, რადგანაც სამხედრო გადასახადი დიდად აფერხებდა საერთოდ, როგორც თეატრის საქმე ისე კერძოდ აქ, ტფილისში ოპერის საქმეს.

სანამ ამ კანონ-პროექტს განიხილავდა სათინანსო-საბიუჯეტო კომისია, რომელსაც ორი კვირაა რაც ეს კანონ-პროექტი ჰქონდა გადაცემული, თქვენ კარგად მოგვხსენებთ, რომ ოპერა უკვე განიცდიდა დაკრისის და დაიხურა კიდევ. და თუ ეხლა ხელახლა სწარმოებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ მათ იმედი ჰქონდათ პარლამენტი და ჩვენი მთავრობა მოხსნის ამ დროებით სამხედრო გადასახადს და ამით ხელს შეუწყობს არამც თუ ტფილსში სხვა ქალაქში ოპერის საქმის მოწესრიგებას. ეს კანონ-პროექტი, როგორც თქვენ იცით, დამტკიცებული იყო რუეთას სატყოს მინისტრების მიერ 1915 წ. 21 ნოემბერს. აი სწორედ მაშინ, როცა ომის ქარცეცხლი მოედო მთელ მსოფლიოს. მაშინ აღიძრა მრავალი საკითხი, რომ სამხედრო უწყებებს რაიმე შეღავათი მიეცათ, რადგან ამ უწყებებს მეტი დიდი ხარჯები სჭირდებოდა. თქვენ მოგვხსენებთ მაშინ მიიღეს ის კანონ-პროექტი, რომელიც ამას წინადა თქვენ უკუაგდეთ უაქციზოდ მიცემა თამბაქოსი, წუმწუმას, სპირტის და სხვ. იმავე დროს იყო გამოცემული ეს კანონ-პროექტი, რომელიც შემოსავალს ჰმატებდა ხაზინას და რაკი ხაზინას შემოსავალი მეტი ჰქონდა იგი ომის წარმოებაში მეტ დახმარებას გაუწევდა თავის სამშობლოს. თქვენ კარგად იცით, რომ დღეს ომი აღარ არის და ეს კანონი უნდა უკუაგდოთ, მაგრამ მივიღეთ რა მხედველობაში ჩვენი სამშობლოს ხაზინას მდგომარეობა, ხელოვნების კომისიამ დაადგინა, რომ ეს გადასახადი ახსნას მხოლოდ დრამაზე, ოპერაზე, ოპერეტაზე, ბალეტზე და კონცერტზე, რომელნიც ემსახურებიან ხელოვნებას განვითარებას, რაც შეეხება ცირკებს, კინემატოგრაფებს და სხვა გვარ გასართობებზე უნდა დარჩეს.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

ი. აბაკელია. (კითხულობს) მუხლი პირველი. 1915 წლის ნოემბრის 22 კანონის შესაცვლელად და შესასწორებლად დადგინო იქნეს:

1) გაგრძელდეს ამ კანონის მოქმედება ფასიან გასართობის და სანახაობის შესისვლელ ბილეთებზე სამხედრო გადასახადის დადების შესახებ ამ საგანზე განსაკუთრებულ კანონის გამოცემაში.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ი. აბაკელია. (კითხულობს) მუხლი მეორე. შესასვლელი ბილეთები სათეატრო წარმოდგენებისა: დრამა-კომედიების და ოპერის, ოპერეტის, ბალეტის და კონცერტის ზემო აღნიშნული სამხედრო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნეს 1918 წ. ნოემბრის პირველიდან.

თავმჯდომარე ვის ნებავს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის ლომთათიძეს.

ალ ლომთათიძე. (ს. დ.) მე წინადადება შემომამქვს, რომ მეორე მუხლიდან ამოიშალოს **ოპერეტა**, დანარჩენი დარჩეს ისე, როგორც არის, იმიტომ, რომ საზოგადოდ, ჩვენ ვიცით, რით და როგორი შინაარსით უმასპინძლებდა საზოგადოებას ოპერეტა. დღეს ისეთი მდგომარეობაა, რომ თუ ეს გადასახადი დარჩება არც ხალხი და არც ხაზინა არაფერს არ დაჰკარავს. რაც შეეხება დრამას, ოპერას, ბალეტს,—ეს დარჩეს. ამოიშალოს სიტყვა **ოპერეტა**

დელეუხანაძე. (სომ. ეროვ. პარტია) სიტყვა წარმოთქმულია რუსულად სტენოგრაფიით არ ჩაწერილა.



ალ. ახმეტელი. (რად. დემ.) მე ვერ გავიგე, რატომ არის, ალექსანდრე ოპერეტის წინააღმდეგ. ასე რომ იმ ჯგულოთ მაშინ უნდა იყოთ წინააღმდეგი კომედიისა, ვინაიდან ოპერეტა არის იგივე კომედია, მხოლოდ მოქმედება გადმოიციემა სიმღერით.

შეიძლება მას მხედველობაში აქვს ფარსი, რომელიც არის ვულგარული გადმოცემა იმავე დრამისა და კომედიისა.

საქმე რაშია. „ოპერეტა ოფენბახისა“ „სევილიელს დალაქი“ და სხვ. ამას რომ ოპერეტა დაარქვით არის ეს ვულგარიზაცია თუ არა? (ხმა: არა!) მაშ ოფენბახის ოპერეტაზე გადასახადს დასტოვებთ თუ არა? ეს „სევილიელი დალაქი“-ც არის ოპერეტა. მე არ ვიცი, თქვენ იქნება მხედველობაში გაქვთ და გეშინიან იმისი, რომ იმაში ვულგარიზში არ იყოს შეტანილი, მაგრამ ეს ცენზორის საქმეა.

ეს გადასახადი, რომ დასტოვით ოპერეტაზე, ოპერეტა, რომ აქედან ამოშალთ ყველა ანტრეპრენიორი გვერდს აუხვევდა: ყველა ოპერეტას დაარქმევს მუსიკალურ ოპერას, კომიკურ ოპერას ან და სხვას. ეს გადასახადი რომ დასტოვით ყველა კომიკური ოპერეტა შეიძლება გამოსახოთ ოპერათ შეიძლება იყოს არა ვულგარული ოპერეტა, ფარსი, არამედ ნამდვილი წმინდა ხელოვნური.

ამიტომ ჩვენი წინადადება არის: დარჩეს ისევე ის რედაქცია და მოხსნილი იყოს გადასახადი ოპერეტაზე.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს გაბაშვილს რევას. **გაბაშვილი.** ეს პირველი შემთხვევა იქნება ბატონებო, რომ მე უნდა დავეთანხმო ალექსანდრე ლომთათიძეს.


ეს ოპერეტაზე შემოღებულ გადასახადი უნდა დარჩეს, მაგრამ, რასაკვირ, ველია, არა იმ პურიტანურ თვალსაზრისით, რომლითაც ლომთათიძე იცავს რომელსაც, მაგალითად ოპერეტა, ალბათ ბალეტზე უფრო დემოკრატიული ჰგონია.

ჩვენის თვალსაზრისით ოპერეტა უფრო დემოკრატიული წარმოდგენაა ვიდრე ბალეტი. მე ამიტომ მიზნა ეს წინადადება უფრო გავაფართოვო, მე საზოგადოთ ვეტყვი უასს თუ აწესებთ ისე, როგორც დემოკრატიას შეეფერება. მაშინ აქაც ისევე უნდა მოიქცეთ, მაგრამ არა არის, რომ სამხედრო საქმეს სულ ყველგან ეტანებით და გინდათ რომ საქმეს კლანკები გამოიღოთ. სამხედრო გადასახადი არის ამ გასართობებზე. სახელმწიფოსთვის ისეთი დიდი მნიშვნელობა არ აქვს არც ერთ უწყებას, როგორც ჯარს, როგორც სამხედრო უწყებას, რომლისთვისაც თქვენ ვერ იმეტებთ ვერც ერთ გროშს. ამიტომ ჩვენ წინადადებებს ვიძლევი, ყველა გასართობებს სუბსიდიის სახით, რაიმე დახმარება გაუწიოთ. ოპერას დახმარება მიეცით, მაგრამ ყველა გასართობებზე და ამისთანა ოპერეტაზე და ბალეტზე ეს გადასახადი დასტოვებდა გადაეცით მისი შეესაავალი სამხედრო უწყებას.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს შალვა ამირეჯიბს.

შალვა ამირეჯიბი (ნ. დ.). ბატონებო, მე დიდი სიამოვნებით გავიზიარებდი პარლამენტის წევრის ბ. გაბაშვილის აზრს, ის რომ მართალი იყავს.

საქმე იმაშია, რომ ეს გადასახადი არსებითად თეატრს არ აძლევს არავითარ შემოსავალს. მაშასადამე ეს არც სამხედრო უწყებას მისცემს რაიმე შემოსავალს, ამიტომ ორში ერთი უნდა გავარკვიოთ: ან თეატრი გაღავარჩინოთ ან დაეტოვოთ ისეთი მდგომარეობა, რომლითაც არც თეატრი იარსებებს და



არც სამხედრო უწყება. ამით ხელმძღვანელობდა ხელოვნების კომისიის რეკონსტრუქციის კანონ პროექტი წარმოადგინა.

მე ვფიქრობ, პარლამენტი დაეთანხმება ხელოვნების კომისიის და მიიღებს იმ წინადადებას, რომელიც მას შემოაქვს. ე. ი. მოისპოს ის გადასახადი ამ კანონ პროექტში აღნიშნულ წარმოდგენების შესახებ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს აკაკი ფაღავას.

აკაკი ფაღავა (ს. ფ.). ხელოვნება, მოხესხენებათ, მეტად ძვირი დარგი არის და პირდაპირ დამოკიდებულია მატერიალურ საშუალებაზე. რა უდნადაც მეტო მატერიალური საშუალება აქვს ხელოვნების ყოველ დარგს, იგი იძენდა უფრო უკეთეს პირობებშია ის ჩაყენებული.

რასაკვირველია, მე არ ვიტყვი, არ მგონია პარლამენტში იყოს ისეთი წევრი, რომელიც წინააღმდეგი იყოს ხელოვნების აყვავებისა და გაფორმებისა. ამ დარგში ჩვენმა ხალხმა უკვე გამოიჩინა უნარი და ნიჭი. მაგრამ დღემდის მას, შესაძლებელაა, სათანადო ასპარეზი არ ჰქონდა, როგორც სხვა საქმიანებში, ისე ხელოვნების დამკვიც.

ჩვენ მეტის მეტად შეუწყნარებელ და შეუფერებელ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. სხვათა შორის, ამის შედეგი ისიც იყო, რომ ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა წარმოშვა მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე თავის სამშობლოს გარეშე. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. ეხლა ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი თავის პატრონი და სახელმწიფოს აღმაშენებლობას ვეწვევით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხელოვნების დარგშიც სათანადო წვლილს შევიტანთ. ამიტომ ხელი უნდა შეუწყოთ ყოველნაირად ხელოვნებას.

დღეს დგას კერძოდ საკითხი ხელოვნების გადასახადების შემცირების შესახებ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ იმ შემოსავლისაგან, რომელსაც იძლევიან წარმოდგენები 50 პროც. მააქვთ სხვა და სხვა გადასახადების სახით ასეთი გადასახადები და ასეთი დაბეგვრა არ არსებობს არც ერთ სხვა დარგში მით უფრო არ შეიძლება ამის დატოვება ხელოვნებაში, ეს არ შეიძლება. ეს არა ნორმალური მოვლენაა, ეს დაბეგვრა არის. ამიტომ, მე მგონია, ეს უნდა მოისპოს თუ საესებით არა ობიექტიურ პირობების გამო, რომელშიაც 'ვენ ვიმყოფებით, ყოველ შემთხვევაში, ნაწილად მაინც, თუ გვინდა, რომ ხელოვნებას გასაქანი აღმოუჩინოთ და მიეცეთ საშუალება ფართო საზოგადოებას, დემოკრატია, რომ ისინიც ეზიარნენ ამ ხელოვნების წყაროს განსაკუთრებით დღეს ამ ნერვიულ ეპოქაში, როდესაც მეტის მეტი სისწრაფით ვითარდება სხვა სხვა მოვლენები, და მეტის მეტ ენერჯის დახარჯვას გვიხდება.

ხელოვნება არის ისეთი წყარო, რომლითაც ასე ვსთქვათ, სულს ითქვამს დღეს მუშაი. ჩვენი ფრაქცია ამიტომ მხარს უჭერს ხელოვნების კომისიის კანონ-პროექტს. ხოლო ფრაქციამ შეუძლებლად დანახა საცემით მიიღოს ის, რაც წარმოადგინა კომისიამ. და როგორც ვთქვამთ, ვერც უკეთეს პირობებში არ შევხვებით, შეუძლებლად მიაჩნია მას, ბალეტის და ოპერეტის განთავისუფლება გადასახადებისაგან. რაც შეეხება დანარჩენს და მათ შორის კონცერტებს, რომელიც ამოშალა საფინანსო კომისიამ, აი ამის შესახებ ჩვენი ფრაქცია იზიარებს ხელოვნების კომისიის აზრს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ალექსანდრე ლომთათიძეს.

ალ. ლომთათიძე (ს. დ.). ბატონებო, ჯერჯერობით უნდა მოვახსენოთ რომ ბატონ გაბაშვილის მიერ ყბათ აღებული დემოკრატია და მისი ინტერგები. სწორედ იმას მოითხოვს, რომ თუ უპირველესი ყურადღება არა, ყოველ



შენი ხელგაწევა უნდა აღდგება უნდა ირეცეს დღეს ჩვენ ხალხს ფართე მისეს, დღეს უნდა წმინდა ხელოვნებაზე აღზრდეს, ვერა სხვა რაიმე საკითხს.

მე მგონია, რომ თუ ჩვენ ხელოვნებას აქვს რაიმე მომავალი, და ჩვენ ბევრი თანადეი ვეაქვს არის, რომ ეს მომავალი უპრინციპული ხელოვნებას, ეს ხელოვნება იქნება ან წმინდა დემოკრატიის, ნაწილი პარტიული ხალხს ზრახვის და სულის ეფუძვს გამოუმტყელი, ან და სრულიად არ იქნება. მაშასადამე ჩვენთვის სულ ერთი არ არის. რა ფაქტი დადგება ოპერებს, დრამებს გასასაღებობით და ბალეტებს! (ხმა: კოლედივს?). დიხ კომედიებსაც. რაც შეეება ბალეტს, მე არ ვიცი, მე მგონია აქ რაიმე ისეთი, რომელსაც კარგად იციან, რომ თუ ოპერა უნდა აღორძინდეს ჩვენში, მაშასადამე ბალეტიც უნდა აღორძინდეს და მასზე არ ზრუნა შეუძლებელია.

რამდენადაც მე ვიცი, არსებობს უკვე სპეციალური სკოლა, სადაც ბალეტის შესწავლას უაღრესად მიიღვენ. მაშასადამე, აუკრია რომ, ეს მხარე ჩვენ ხელოვნებას იყო პარიზებში უნდა იქნეს ჩაყენებული. არ შეეება ხალხის ფართო მისეს ან ამ დარგს, ამ წყაროს დაეწყოს და ზნეობრივად სულიერად ამოიღოს.

უმთავრესი მოსაზრება ჩვენი ფაქტების, სწორედ ასეთი გახლავთ. ასეთი მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით ჩვენ როდესაც შემოგვეტონდა ასეთი შესწორება: კონცერტებს, ბალეტებს და დრამებს დროებით წოვხსნას ეს გადასახადი, ვინაიდან საზოგადო გადასახადები და სხვა, საზოგადოდ ცხოვრების პირობების, გაძვირებით გამოწვეული ხარჯები ისეთი დიდი არის, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის ფართო მისეს წყურვილი დიდია, — დაეწყოს ამ წყაროს და ხელოვნების ტაძარში იაროს, პირობები ისეთი არის, რომ ეს შეუძლებელია მის ჯიბისათვის. როდესაც სხვადასხვა გადასახადებს ჩაიოვხსნით ეს რმას გაუადვილებს.

რაც შეეება იმას, რომ ოპერებს რატომ უწყობდით, — მე ვერ დავეთხანებები ბ. ახმეტელის მოსაზრებას, რომ ცენზურა უნდა დაწესდეს და სხვა და სხვა შემზღუდველი ზომები. მე მგონია, რომ შემზღუდველი ზომები შეიძლება იყოს, მაგრამ ცენზურის დაწესება შეუძლებელია მიმართა.

როდესაც ფაქტები გადიდდება, მაშინ თავის თავად ცხადია, ხალხის ფართო მისიდან გამოსული ოპერეტებზედ არ წავა.

ამასთან, მე უნდა მოგახსენოთ, რომ შინაარსი ოპერეტისა ახალი არ გახლავთ. ჩვენი აზრი ისეთია, რომ ოპერეტა გამრყენილად მოქმედობს ხალხზედ. და ამიტომ ეს მოსაზრება ჩვენ გვიკარნახებს, რომ აქ დავტოვოთ სამხედრო გადასახადი.

რაც შეეება ბ. დოლუხანოვის მოსაზრებას, მე მგონია, რომ პარლამენტი, საკანონმდებლო დაწესებულება ვერ გამოევა თავის გადაწყვეტილების დროს იმ მოსაზრებიდან, თუ რა პირობებში ჩავარდება ესა თუ ის ანტრეპრენერი. რასაკვირველია, ანტრეპრენერის საქმე მის უნარზე და მის კომერციულ ნიჭზედ არის დამოკიდებული.

ჩვენი შეხედულება ასეთია: ხალხის საზოგადო სულიერი და ზნეობრივი აღზრდის ყველა, რაც ხელს უწყობს, მისაღებია, და რაც ხელს უშლის დასაგმობია.

აი ამ მოსაზრებით სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შემოგვაქვს წინა-



დადგება და ვითხოვლობთ რომ სიტყვა ოპერეტა ამოშლილი იყოს (გაბაშვილი! ფარსი? ახმეტელი: ფარსი არ ვახსოვთ).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ბ. ახმეტელს.

აღ. ახმეტელი (რად. დემ): მე სრულიადაც არ მისჯვამს რომ ცენზორი დაიჭირეთო, მეთქი.

მე სრულიადაც არ მითქვამს, რომ საჭიროა ცენზორის მოქმედება, მაგრამ რატომ არ გინდათ რომ დემოკრატია სინღერა გაიცინოს? რატომ არ გინდათ?

მე შემიძლიან ვისმინო ფარსი, ვისმინა დრამა და ამავე დროს შემიძლიან ვისმინო ოპერეტა, კომიკური რამ. მე არ ვცი, რატომ გგონიათ, რომ ოპერეტა უსათუოთ გულ გასულა? (გ. ვეშაპელი: არშინ მალ აღან!

მე ვამბობ რომ, ოპერეტა არის ისევე კომედია, მხოლოდ სინღერით გადაცემული. რატომ შეიძლება დრამა იყოს გადასახადებიდან განთავისუფლებული და ოპერეტა არა.

რაც შეეხება იმას, რომ ბალეტს დაედოს გადასახადი, ეს უფრო გასაკვირველია ჩემთვის, მაგალითად გუშინ იყო ბალეტი „ქორწილი მალაროსიაში“ რატომ უნდა იყოს უსათუოდ გადასახადი ბალეტზე, „ქორწილ მალაროსიაში“, რომელიც სიმღერით, ხორეოგრაფულად გადმოგვცემს მოქმედებას, და რომ ილაპარაკონ მაშინ არ უნდა იყოს გადასახადი,—ეს ჩემთვის ყოველად წარმოუდგენელია. მით უნეტეს ბალეტი ისეთივე საჭიროა ჩვენ აღზრდისთვის, როგორც დრამა, ოპერა. იმიტომ ხომ არაა მიუღებელი თქვენთვის, რომ ბალეტი ხორეოგრაფიული მოქმედებაა, ხოლო დრამასა და ოპერაში ლაპარაკობენ და მღერაინ?

ამიტომ მე ვამბობ, როდესაც ამბობენ ბალეტზე და ოპერეტაზე არ მიიხსნას გადასახადიო, მე ეს მიუღებლად მიმაჩნია. მე პირადად სავსებით ვიცავ კომისიის მიერ წარმოდგენილ რედაქციას.

თავმჯდომარე: ვის სურს სიტყვა? სიტყვა აღარაგისა სურს. მოხსენებელი.

იოსებ აბაკელია (ს. რ.) მართალი უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, როდესაც მე გამოვდიოდი მოხსენებლად ამ კანონ პროექტის შესახებ, მე სრულიად არ შეგონა, რომ ეს კანონ-პროექტი გამოიწვევდა დავას, რომ ეს არის დემოკრატიული და არა არისტოკრატიულიო.

ერთად-ერთი კომისია—სადაც არ არის განსხვავება არისტოკრატიულსა და დემოკრატიულს შორის, ეს არის ხელოვნების კომისია. მუსიკა და ხელოვნება ყველამ უნდა შეისწავლოს, იგი ყველასთვის ხელმისაწვდომია, ამას ჰქვია გებდა ხოლმე ყოველთვის რუსის გამოჩენილი მწერალი ლ. ტოლსტოიცი.

რისთვის ინებეს ბ. გაბაშვილმა და ლონთათიძემ ეთქვათ, რომ აქ არის დემოკრატიული მოსახრება,—მე არ ვიცი.

უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ გაბაშვილს ბალეტის შესახებ შეეცდარი აზრი აქვს.

ბალეტი არის რითმიული, ხორეოგრაფიული ხელოვნური ვარჯიშობა, მუნჯურად. ე. ი. ის გადმოგვცემთ მთელი დრამის მოქმედებას სიტყვის და მღერის მაგიერ მუნჯურ მოქმედებით. მხოლოდ სახის, ესე იგი მიმიკის საშუალებით და ვარჯიშობით.

თუ კი სიტყვით და და მღერით შეიძლება მოქმედების გადმოცემა, რატომ გგონიათ ბ. გაბაშვილო, რომ მიმიკით არ შეიძლება.

იქნებ ბატონო, გაბაშვილო ბალეტი არ გინახავთ?!

აღბად ბევრს წარმოუდგენია, რომ ბალეტი არის უბრალო ტანტალი.



ბალეტი კი არის დიადი ხელოვნება. (ხმაურობა: რითმიული) მოეფიქრებინა ბატონო, როცა თქვენ ლაპარაკობდით მე არ გიშლიდით.

აქ ქართულ მუსიკალურ საზოგადოებას უკვე აქვს დაღწეობის გამოჩენილ პროფესორის განყოფილება, სადაც ბავშვებს ასწავლიან რითმიულ ვარჯიშობას. აქ ვარჯიშობას რითმიულს ისე აწარმოებენ, რომ ეს უახლოვდება ბალეტს. ვინც ერთხელ იყო ამ სკოლაში ის დამეთანხმება, რომ მან არამც თუ არ უნდა დაუშალოს, არამედ ხელი უნდა შეუწყოს ამას, რადგანაც იქ ბევრი ჩვენი ახალგაზდობაც სწავლობს. აქ ხელით, რითმით და მიმიკით ვაღმოსცემენ იმას, რაც დრამაში და ოპერაში სიმღერით და მოქმედებით აცნობებენ მსმენელთ. რაც შეეხება ოპერეტას, რომელიც თქვენ არ მოგწონთ, უნდა მოგახსენოთ, ბატონო, ეს კანონი, რომელსაც იღებთ არ უნდა დაგვადგინოს ისეთი კანონი, რომელზედაც ითქმებოდეს რუსული ანდაზა: Закон, что дышло, куда повернул, туда и вышло, თუ ასეთ კანონს მიიღებთ, რომელსაც შეიძლება გვერდი აუხვიოთ, ეს კანონიერი არ იქნება; ეს არც სახელმწიფომ უნდა მიიღოს. წარმოიდგინეთ თქვენ ისეთი ოპერეტაები, როგორიც არის: „გეიშა“, როგორც არის „Цыганский баронь“. „Норневильские колокола“; ეს არის წმინდა ოპერა ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს კანონი დროებითია, თუ დაუკვირდებით ამ კანონ-პროექტის პირველ მუხლს აქ აღნიშნულია, რომ ჩვენ ამ კანონს ვიღებთ დროებით განსაკუთრებულ კანონის გამოცემამდე.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ არც რუსეთში, არც ევროპაში ოპერეტა არ ჩამოუვარდება ოპერას, ისეთი ოპერეტაა, როგორიც არის გეიშა,—არც ხელოვნების მხრივ, არც ტექნიკურის მხრივ არ ჩამოუვარდება ოპერას. თქვენ ამ კანონ-პროექტადან გაურთ აბოშალეთ ბალეტი, რადგან გსურთ ბალეტი არ განთავისუფლდეს გადასახადისგან, მაგრამ ამავე დროს თქვენ ანთავისუფლებთ გადასახადისაგან ოპერას.

მე მინდა გავიკო, როგორ მოაქცევთ ისეთ შეთბევაებში, როდესაც ბალეტიც იქნება და ოპერაც ერთად დადგმული. აი მაგალითად გუშინ იყო ოპერა და ბალეტი. აი ასეთ შეთბევაშია, როგორ მოიქცევით? გადასახადს გადაახდებენებთ თუ არა? მოგეპიანებათ, რომ წინად, როცა ოპი იყო, კონცერტებზე აბედვინებდნენ სამკედრო გადასახადს. თუ დააწერდით კონცერტი-ლეკცია, მაშინ გადასახადს არ იღებდნენ. და აი სწორედ ასე იქცეოდნენ: ლობარი ან დააწერდა ხოლმე აფაშახე, რომ ხაზინას ფულს არ მიიღო. გამოვიდოდა ლექტორი ორ-სამ სიტყვას იტყვოდა, და ეს გამოვიდოდა კონცერტი-ლეკცია, და გადასახადს არ იღებდნენ. მაშასადამე ისეთი კანონის მიღება ყოვლად შეუძლებელია, როგორც შეიძლება გვერდი აუხვიოს ანტრე-პრიზამ, რომ ხაზინას არაფერი მისცეს. ასე რომ კანონი მართო ქალაქზე დარჩება. მიუღებელია ისეთი კანონი, რომელიც არც არისტოკრატისა, არც დემოკრატის არასოდეს არ მიიმხრობს.

მე მომხრე ვარ, რომ მივიღოთ ის რედაქცია, როგორც წარმოდგენილია ხელოვნების კომისიის მიერ.

ჩვენ ხელი უნდა შეუწყვიტოთ ხელოვნებას, რომ თავისი საქმე აწარმოოს. თავმჯდომარე. ორი წინადადება არის. ერთი წინადადება,—ამოიშალოს ერთი სიტყვა—ოპერეტა.

მეორე წინადადება არის სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციისა,—ამოიშალოს სიტყვა—ბალეტი და ოპერეტა.

მომხსენებელი არ ეთანხმება არც ერთს, არც მეორეს, და იცავს კომისიის აზრს.



ვინ არის მომხრე, რომ ამოიშალოს ოპერეტა?

ვინ არის წინააღმდეგი? 29 არის მომხრე, რომ ამოიშალოს 27—დარჩეს. მაშასადამე ეს სიტყვა ამოშლილია.

კენჭს უყრი მეორე წინადადებას.

ვინ არის წინააღმდეგი, რომ ამოიშალოს ბალეტი და ოპერეტა? მაშასადამე ეს სიტყვები დარჩება.

ვინ არის წინააღმდეგი მეორე მუხლასა? არავინ. ვინ არის წინააღმდეგი მთლად ამ კანონ-პროექტისა? კანონ პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

კანონ-პროექტი სხვა და სხვა უწყების სკოლებს განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ.

თავმჯდომარე შემდეგ კანონ პროექტის შესახებ მომხსენებელი გახლავთ პარლამენტის წევრი ნოე ცინციძე.

ნოე ცინციძე. კანონ პროექტი, რომლის განხილვას ჩვენ უნდა შევედგეთ, ისახავს მიზნად ერთს არა ნორმალურ მდგომარეობის გამოსწორებას, რომელიც არსებობს სამოსწავლო უწყებაში.

მოგვხსენებთ, რომ რუსეთში და მეორე ჩვენ რესპუბლიკაში, მრავალი სხვა და სხვა ტიპის სკოლებია გაბნეული და დაქსაქსული სხვა და სხვა უწყების შორის. არის სკოლები, რომელნიც ექვემდებარებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს; არის სკოლები, რომელნიც ექვემდებარებიან სავაჭრო-სამრეწველო უწყებას და საფინანსო უწყებას; არის ისეთი სკოლებიც, რომელნიც ექვემდებარებიან, მაგალითად იუსტიციის სამინისტროს. ასეთი მდგომარეობა ჩვენ პატარა რესპუბლიკაში, რასაკვირველია, უნდა ჩაითვალოს არა ნორმალურად, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მდგომარეობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს და აი რა მოაზრებით.

პირველი მოსაზრება არის პრინციპიალური ხასიათისა.

საქმე იმაშია, რომ ახლო მომავალში ჩვენ შეუდგებით ძირითად რეფორმას სკოლისას. ამ რეფორმის დროს ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ახალ სკოლას საფუძვლად დაედოს ერთგვარი პრინციპი და განათლების ყველა დარგებში დატული უნდა იქმნეს საერთო პედაგოგიური მთლიანობა.

ეს არის მოსაზრება პრინციპი-ლური, რომელიც ჩვენ გვიკარნახებს, რომ საჭიროა სხვა და სხვა უწყებების სკოლების განათლების უწყებაში გადაცემა.

არას მეორე მოსაზრება, მოსაზრება პრაქტიკული ხასიათისა.

საქმე იმაშია, რომთუ იმ რომელიმე უწყებას აქვს ამა თუ იმ ტიპის სკოლები, ეს უწყება იძულებული ხდება შექმნას სპეციალური აპარატი, რომელიც უხელმძღვანელებს ამ სკოლებს. ძველ რუსეთში, ყველა სამინისტროში, რომელთაც ექვემდებარებოდა ამა თუ იმ ტიპის სკოლები, არსებობდა სამოსწავლო განყოფილება. და ეს სამოსწავლო განყოფილება ხელმძღვანელობდა ამ სკოლებს. ასეთ აპარატს შექმნა ჩვენ სახელმწიფოსთვის მეტად მძიმე ტვირთი იქნებოდა. და ჩვენ ბიუჯეტს ძლიან მძიმე ტვირთად დააწვებოდა. ამ მოსაზრებით, ჩვენ რასაკვირველია, მომხრე ვართ, რომ სხვა და სხვა უწყების სკოლები გადაეცეს განათლების სამინისტროს, მაგრამ ერთი გამონაკლისით. გამონაკლისი შეიძლება სამეურნეო სკოლებისთვის.

ჩვენ ვფიქრობთ, — რომ სამეურნეო სკოლები უნდა დარჩნენ მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყებას ხელში.



მოსაზრება შემდეგია:

თქვენ მოგვხსენებთ, ბატონებო, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს ანხორციელებს აგრარულ რეფორმას. აგრარულ რეფორმის სასურველ დასაგვირგვინებლად აუცილებლად საჭირო არის, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიუქცეს, ეგრედ წოდებულ, სამაგალითო საცდელ მინდვრებს და სამეურნეო ცოდნა განვითარებას, ესე იგი უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სამეურნეო სკოლების ასე თუ ისე მოწესრიგებას. ეს სამეურნეო, აგრონომიული სკოლები უნდა შეადგენდნენ ერთ მთლიან რამეს, რომელიც უნდა იყოს აუცილებლად ერთ უწყების განკარგულებაში. ეს უწყება, თავის თავად ცხადია, იქნება მიწად მოქმედების სამინისტრო.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში არის, სხვათა შორის ისეთი აპარატები, რომელსაც შეუძლიან უხელოძღვენილოს ამ სკოლებს. ეს არის მუღნივი აპარატი ცენტრალური აგრონომიული კომისია, რომელიც შესდგება კარგ სპეციალისტებისაგან. ამ კომისიას, მიწათ-მოქმედების სამინისტრომ, უკვე დაავალა შეიმუშაოს საცდელ სამაგალითო მინდვრების მოწყობის გეგმა სამეურნეო სკოლების გახსნა და საერთოთ მთელა რიგი სამეურნეო ზომებისა. და აი ამ კომისიამ უკვე დაჰყო ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია, მეურნეობის ამა თუ იმ ტიპის მიხედვით, ერთგვარ სამეურნეო რაიონებად. ამ ერთგვარ სამეურნეო რაიონებში განხრახულია ამა თუ იმ ტიპის სამეურნეო სკოლების გახსნა. ეს საორგანიზაციო მუშაობა უკვე სწარმოებს და ამ ახლო მომავალში ეს საორგანიზაციო მუშაობა დამთავრდება ამ სამინისტროში. თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში მხარი უნდა დაუჭიროთ, რომ ამ სამინისტრომ საესებით შეძლოს ამ რეფორმის გატარება ბოლომდის.

მეორეს მხრივ, თუ მივაქცევთ ყურადღებას დასავლეთ ევროპის და სხვა განათლებულ სახელმწიფოების სამეურნეო პრაქტიკას, ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ სამეურნეო სკოლები უნდა დაეტოვოთ მიწათ-მოქმედების უწყებაში.

დასავლეთ ევროპაში, გერმანიაში და მრავალ სხვა სახელმწიფოში ის სკოლები ეწყარებიან მიწათ-მოქმედების უწყებას. რასაკვირველია, მე უმთავრესად მაქვს სახეში პირველ დაწყებითი და საშუალო სამეურნეო სკოლები. რაც შეეხება უმაღლეს სამეურნეო სკოლებს, ზოგ ადგილებში ეს სკოლები შეადგენენ ნაწილს უნივერსიტეტისას, ზოგიერთ ადგილებში კი ეს სკოლები ეწყარებიან მიწათ-მოქმედების უწყებას. თავის თავად ცხადია უმაღლესი სამეურნეო სკოლები შესაძლებელია, რადგანაც უმთავრესი განხრახვა აქვთ თეორიულად მეცნიერების შესწავლა, — დაეტოვოთ ან გადაეცეთ განათლების სამინისტროს, მაგრამ, რაც შეეხება სამეურნეო და პირველ დაწყების სამეურნეო სკოლებს, აუცილებლად, მოყვანილ მოსაზრების მიხედვით, უნდა დარჩეს მიწათ-მოქმედების უწყების ხელში.

აი ამ მოსაზრებით, ჩვენმა კომისიამ შეიმუშავა სათანადო კანონ-პროექტი. თუ ნებას მიბოძებთ წავიკითხავ ამ კანონ პროექტს. (კითხულობს)

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის განათლების მინისტრს.

განათლების მინისტრი **გიორგი ლასხიშვალი.** ბატონებო, ეს კანონ პროექტი დიდი ხნია განიხილა მთავრობამ და მთავრობამ ის აზრი გამოთქვა, რომ ყველა ტიპის სკოლები, რომელნიც სხვა და სხვა უწყებებში არის გაბნეული, გადაეცეს განათლების სამინისტროს.

საწუხაროდ, მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი არ ყოფილა იმ კრებაზე, მაგრამ შემდეგში მან განაცხადა ამის წინააღმდეგ პროტე-



სტი და ეს საკითხი კიდევ დადგა საუწყებთათმორისო კომისიაში. საუწყებთათმორისო კომისიაში ორი აზრი გამოსთქვა და ერთმანეთში მორიგება არ მოხერხდა. ჩვენ მიერ ვაგზავნილი სპეციალისტი დარჩა თავის აზრზე და მიწათ-მკვამედების უწყების სპეციალისტი კიდევ იცავდა თავის აზრს.

ჩვენმა უწყებამ წარუდგინა მთავრობას კანონ-პროექტი, რომლის ძალით ყველა უწყებას სკოლები, უნდა გადასულიყვნენ განათლების სამინისტროს ხელში. მოსაზრება ამისი, ამის საბუთი უკვე მომხსენიებლმა აღნიშნა, რუსეთში და ჩვენშიაც, რასაკვირველია, თითქმის ყველა უწყებას ჰქონდა თავისი სკოლა: ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საერთოდ განათლების სამინისტროს არავინ არ ურიგებდოდა, არა თუ ხალხი და სწავადობება, თვით ბიუროკრატიაც. ასეთი დახვეწებული უწყება, როგორც იყო განათლების სამინისტრო, არ ყოფილა რუსეთში.

განათლების სამინისტრო იყო ფილიალური განყოფილება შინაგან საქმეთა სამინისტროსი, იგი ემსახურებოდა, ეკვმდებარებოდა პოლიტიკურ, პოლიციურ, აგრეთვე ვსთქვათ, მიზნებს და ყოველი ბიუროკრატი კი, ამა თუ იმ უწყების წარმომადგენელი ცდილობდა ქონდა თავისი სპეციალური სკოლები. ამის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი მუშაობდა: პედაგოგიურ კრებებზე რუსეთში ყველა გამოდიოდა იმ აზრიდან, უკანასკნელ დროდის, რასაკვირველია, რომ საჭირო არის ყველა უწყებებისა ყველა ტიპის სკოლები გადავიდეს საერო განათლების სამინისტროს ხელში. ამისი საბუთი არის ის, რაც მოხსენებელმა ბრძანა. საჭირო არის დაცული იქნეს ერთნაირი პრინციპი პედაგოგიური. სხვა და სხვა უწყებებში, რომ იყო დაბნეული სკოლები, — პრინციპები იყო სხვა და სხვა და დაირღვა პედაგოგიური მთლიანობის პრინციპი.

მეორე მოსაზრება — ყველა უწყებას თავისი აპარატი ჰქონდა და ეს მეტად ძვირად დაუჯდება საქართველოს. მესამე მოსაზრება ის არის, რომ სხვა და სხვა უწყებებმა თავისი საქმიანობა უნდა მიატოვონ და ამ საქმეს უნდა მოუწოდონ, ამასაც დიდი ყურადღება სჭირია, ამით კი ან ერთი საქმე დაბოკოლდება, ან მეორე საქმე დაბოკოლდება.

ამისთვის, ჩვენის აზრით, ყველა სკოლები უნდა გადავიდეს განათლების სამინისტროს ხელში.

სამოსწავლო კოჩისიამ ჩვენს უწყებიდან გამოსულ კანონ-პროექტს, მხარი არ დაუჭირა. იგი ფიქრობს, რომ აგრონომიული სკოლები უნდა დარჩენ ისევ მიწად-მომკმედების უწყების ხელში. ჩემის აზრით ეს არ არის მიზან შესაფერი. საქმე ისაა, რომ საერთო პლანა სწავლა-განათლების საქმის მოწყობისა, მუშავდება საერო განათლების უწყებაში. ჩემის აზრით, ეს სკოლები, სადაც იქნება არა მარტო პრაქტიკული მოწყობა აგრარულ მეურნეობის საქმისა, არამედ თეორეტიკული საგნებისაც, როგორც საშუალო სკოლებში, ეს სკოლები აუცილებლად უნდა ექვემდებარებოდნენ განათლების სამინისტროს.

ის, რომ მიწად-მომკმედების სამინისტროს აქვს თავისი ბალები, აქვს თავისი ფერმები, მისაღები არ არის იმიტომ, რომ ეს არის სახელმწიფოს კუთვნილება, და საერო განათლების სამინისტრო, როდესაც დასჭირდება მიწათ-მოქმედების სამინისტროს ამ ფერმებს დაუთოვს. ამის მაგალითი არის, რომ უწყებაში მყოფ კურსებით — პალიტენიკუთით სარგებლობენ მიწად მოქმედების სამინისტროს დაწესებულებანი. ჩვენ უკვე გვაქვს შექმნილი აპარატი სამინისტროში, სადაც არის მთავარი გატყე პრაუვისიონალურა სკოლებისა, ისეთი სპეციალისტები, რომელიც დაასახელა ბატონმა მომხსენებელმა, — ამ სპეციალისტების მოწვევა შეუძლიან საერო განათლების სამინისტროს ამ პლანის ასრუ-



ლების დროს, და აუცილებლად საჭირო არ იქნება, რომ ეს დარჩეს მიწად-
მოქმედების უწყების ხელში. ყველგან არის ასეთი ტენდენცია, რომ საერთო გან-
ნათლების სამინისტროში შევიდეს ეს სკოლები. თუ მართო სპეციალური საგან-
ნი არის მებაღეობა, ან სხვა აგრონომიული თუ სპეციალური პრაქტიკული
კურსები,—ეს სხვა ანგარიშია, შეიძლება პრაქტიკული კურსები დროებით
აწარმოოს მიწად-მოქმედების სამინისტრომ; მაგრამ თუ პრაქტიკულ საგნებს
გადიან თეორიულიად, მაშინ არაერთი საბუთი არ არის, რომ ეს სკოლები
დარჩნენ მიწად-მოქმედების უწყების ხელში.

ამიტომ ჩვენი უწყების აზრია, ამას დაეთანხმა მთავრობის უმრავლესობა,
ყველა ეს სკოლები უნდა გადავიდეს საერთო განათლების სამინისტროს ხელში.
თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ა. ფაღავას.

აკაკი ფაღავა. (ს. ფ.) ბატონებო, ორში ერთი უნდა იყოს, ან უნდა ყვე-
ლა სკოლები გადავიდეთ ერთ უწყების ხელში, როგორც ამას თვით მომხსენე-
ბელი ამტკიცებდა, თავის მოხსენების პირველ ნახევარში,—ან არა, და, თუ ეს
მივიჩნით უფარგისად, მიუღებლად, მაშინ თვით უწყებებს უნდა მივცეთ საშუ-
ალება და უფლება თავის სკოლები მოაწესრიგონ და მოაგვიარონ ისე, როგორც
მათ სურთ.

მაგრამ, ეს მეორე დებულება, როგორც ყალბი დებულება, ცხოვრებისგან
უარყოფილი, როგორც სახალხო განათლებისთვის მავნე,—უარყოფილი უნდა
იყოს.

თვით მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამას საქმისთვის სარგებლობა არ
მოაქვს. ვარდა ამისა, მეტის-მეტად ძვირად უჯდება სახელმწიფოს, რომ თე-
თელმა უწყებამ შექმნას განკერძოებული აპარატი, თავის უწყების სკოლების
გასაძღოლად. ეს ორივე დებულება იმდენად მარტივია და სალი, რომ გასაზი-
არებელი არის.

როგორ მოხდა, რომ სასკოლო განათლების კომისიამ წარმოადგინა და
იკავს სრულიად დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრს? ჩვენ მას ან პირველ
ნახევარში უნდა დაეთანხმნოთ და ან მეორე ნახევარში, ვინაიდან ეს ორივე
ნახევარი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ერთი მეორეს. იმის საბუთად, რომ
სამეურნეო სკოლები უნდა დარჩეს მიწად-მოქმედების უწყებაში, მომხსენებელს
მოჰკავს ერთად-ერთი. ეს ის, რომ საცდელი მინდვრები, იმყოფება მიწათ-მოქ-
მედების სამინისტროს ხელში? მაგრამ, მე ვკითხავ მომხსენებელს, განა სხვა
რომელიმე უწყებისთვის კი საჭირო არ არის იგივე მინდვრები? განა საჭირო
არ არის, რომ სხვა და სხვა რკინის გზის სასწავლებლისთვის, გამოვიყენოთ
სხვა და სხვა სახელოსნოები? ასეთივე მოვლენა არის სხვა და სხვა უწყების
დარგში. მაგრამ, ჩვენ წარსულ საშუალო საუკუნეების, ხომ არ შეუბრუნდით,
ჩვენ ხომ სხოლასტიკის არ გვიჩნდა დაუბრუნდეთ? ჩვენ გვინდა პრაქტიკა და
თეორია შევავსოთ, რომ რაც შეიძლება მიზან შეწონილად აღეზარდით და
გამოუშვათ ცხოვრებისთვის გამოსადეგი ახალგაზდები. მე მგონია—პედაგოგია
იქით მიდის, რომ ახლო მომავალში იყოს ერთი მაღალიანი სკოლა, სადაც პირ-
ველ დაწყებითი და შემდეგ საშუალო თითქმის ერთნაირად იქნება აგებული.
მომხსენებელი, რომ ვუუბნებოდეს ჩვენ, ან და მიწათ მოქმედების მინისტრი
ამოჩნდეს, რომ მართო პრაქტიკულ საცდელ მინდვრების მუშაობას ვაწარმო-
ებთ, და იქ, მინდვრებზე გაუნათლებელ ანბანისა, წერა-კითხვის უცოდინარ
ხალხს წავიყვანოთ, მაშინ კიდევ არ დავეძებდით. წაიყვანოს ეს უცოდინარ
ხალხი. ჩვენ ამას შეურცხვებოდით, მაგრამ მე არ მგონია, რომ ან მინისტრმა
სამინისტრომ იფაქრონ, რომ რომ რომელიმე დარგში, თუნდაც მიწის და-

სამუშაებლად, წერია კითხვის უკოდინარი, გაუნათლებელი ხალხი უნდა იყოს, ისე რომ minimum განათლებაც არ ჰქონდეთ მიღებული. პირიქით, ჩვენ ვთხოვთ, რომ ყველა დარგში, განსაკუთრებულად კი მკურნალობაში, მიწის დამუშავებაში, საჭიროა სათანადო ცოდნა. რამდენადაც კაცი მეტ საერთო განათლების პატრონი იქნება იგი მით უფრო ჩქარა და ადვილად შეითვისებს სპეციალურ დარგს თავის პროფესიაში და ამ გვარად, უკეთესად გამოიყენებს და წარმართავს თავის საქმეებს. ვინაიდან ესეთი მდგომარეობა, ჩვენ უნდა უარყოფთ ეს გამოჩაქლისი, რომელიც თან ახლავს კომისიის კანონ-პროექტს.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ სკოლის კედლებშივე არ მთავრდება ადამიანის განათლება, ის მუდმივ, სიკვდილამდე სწავლობს და მუშაობს. რაც უნდა უმაღლეს სწავლით ალკურვილი გამოვიდეს ადამიანი, როდესაც ის მოჰყვება რომელიმე სპეციალურ უწყებაში. მისთვის ცოდნა საჭირო არის, სპეციალურ დარგებისაც. ყველა ის, რაც ხელს შეუწყობს განათლების საქმეს, უმკველია, ერთ უწყების ხელში უნდა იყოს, ვინაიდან, უწყება სხვებთან ამ საქმეს ემსახურება. მას უკეთ შესწავლილი აქვს დეტალურათ, და ჩვენ გგონია, რომ უფრო უკეთესათ მოუვლის ამ საქმეს, მიწათ მოქმედების სამინისტროსთვის კი ეს იქნება სასხვათაშორისო საქმე. ჩვენ კი სასხვათაშორისო არ გვინდა საქართველოში დავტოვოთ რომელიმე დარგი. ჩვენ გვინდა მტკიცე საძირკველი ჩაუყაროთ და საძვირკელიანათ მოვაგვაროთ საქმე.

ამ მოსაზრების გამო, სოციალისტ ფედერალიტთა ფრაქციას შეუძლებლათ მიაჩნია, შესუსტებლად მიიღოს კანონ-პროექტი, რომელიც ამ ეპოქით წარმოდგენილია, და მხარს უჭერთ იმას, რაც განათლების მინისტრმა მოგახსენათ, რაც მთავრობის დიდ უმრავლესობამ დაადგინა, და რასაც სალი ჰეშმარიტება, და მოსაზრება მოითხოვს, რომ ყოველივე უწყების, ყოველივე ხარისხის სკოლა დარჩეს ერთ უწყების ხელში, და ერთ გვარათ, კეთილათ წარმართოს განათლების საქმე.

თავმჯდომარე: პარლამენტის წევრი ჯაჯანაშვილი.

არჩილ ჯაჯანაშვილი (ს.-ფ.). უცნაურ ვარსკვლავზე ყოფილა გაჩენილი სახალხო განათლების უწყება.

ჩვენ ვიცით, რომ ყველა სამინისტრო თავის საქმეს აკეთებს, და ყველა პეიქრობს, რომ განსაზღვრული საქმე განსაზღვრულ სამინისტროს იმიტომ აქვს ჩაბარებული; რომ ამ სამინისტროს უფრო შეეფერება ეს განსაკუთრებული საქმე. მაგრამ, როდესაც საქმე სახალხო განათლების სამინისტროზე მიდგება, — გამოდის, რომ სახალხო განათლების საქმე, ყველას შეუძლიან გააკეთოს, გარდა განათლების სამინისტროსი.

როცა საჭირო გახდა ბიბლიოთეკების დაარსება, თურმე ბიბლიოთეკების მოვლა სოფლის კომისარს უფრო უკეთესად შესძლებია, ამიტომ ეს ჩამოართვის განათლების სამინისტროს. და შემდეგ, ეს საუკეთესო განათლების საქმე, როდესაც სკოლის გაერთიანებაზე მდგა საქმე, და დადგა დრო, რომ განათლების სამინისტროს შეეძლო მთლიან განათლების სისტემის შემუშავებას შეუდგეს, და წინ წასწიოს ჩვენი განათლების საქმე, — გამოდის, რომ ეს განათლების საქმე, განათლების სამინისტროზე უფრო უკეთესად შესძლებია მიწად მოქმედების სამინისტროს.

ორში ერთი.

ან უნდა განათლების საქმე, მართლა განათლების სამინისტროს საქმე



იყოს, და მარტო იმის ჩაბარდეს, ან, თუ კი თქვენი აზრით, ეს სამინისტრო არ ყოფილა განათლების სამინისტრო; მაშინ დაშალეთ ეს სამინისტრო და დადევით მიწათ მოქმედების სამინისტროს.

მე მგონია, რომ სასკოლო კოსისია, რომელიც ასეთ გზას არ ადგია, დაჰფიქრობს, რომ საჭიროა სახალხო განათლების სკოლები იყოს ერთ უწყების ხელში, — როდესაც ძირითადი გარდაქმნა შესაძლებელი გახდება თუ ამ გზას ადგებართ, მაშინ ბოლომდის დაადევით ამ საღ აზრს, და სახალხო განათლების საქმე დადევით განათლების სამინისტროს, და განათლების სამინისტროს ნუ გახდით იმ სამინისტროს მგზავსათ, რომელსაც არავითარ საქმის გაკეთება არ შეუძლიან. სახალხო განათლების სამინისტროს უნდა მისცეთ საშუალება, რომ მან განავითაროს თავისმოღვაწეობა ისე, როგორც მისი დანიშნულება მოითხოვს, და ამას ვერაფერს მოახერხებს და ეს მით უფრო გაძნელებდა თუ თქვენ სათითაოთ ჩამოაყალიბებთ ხელიდან ხან ერთი, ხან მეორე დარგის, ხან მესამე დარგის სკოლები.

აიტომ, ჩემის აზრით ის გამონაკლისი, რომელიც მოახერხა განათლების კომისიამ, ყოვლად შეუძლებელია, და მე ვერ წარმომიდგენია, რით უნდა აიხსნას ასეთ კანონ-პროექტის შემოტანა.

ლელ ნათაძე. (ს. დ.) ის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა ბ. ჯაჯანაშვილმა უფრო საგვტაციო იყო, ვიდრე არსებითი. არ შემიძლიან გავეჩვივა არ გამოვსთქვა იმის გამო, რომ მან განათლების კომისია გაამტყუნა იმაში, რომ ვითომ ის სხვა თვალთ უყურებდეს განათლების სამინისტროს, ვიდრე სხვა სამინისტროებს; მან მოიხსენია აგრეთვე კანონ-პროექტი ბიბლიოთეკების გახსნის შესახებ. მე პირდაპირ ვადაპირთ ვაცხადებ, რომ სრულიად არავის არ უფიქრნია ამ კანონ-პროექტის შეზღუდვა; ამ კანონ პროექტის გატარების დროს ჩვენ ხაზ გასმით ვამბობდით, რომ ბიბლიოთეკების გახსნა დღევანდელ პირობებში როდესაც ჩვენ არ გვყავს მასწავლებლები ყველა სოფლებში, ასეთ პირობებში ყოვლად შეუძლებელია, რომ განათლების სამინისტროს დაეკისროს. განათლების სამინისტროს არა აქვს შესაფერი აპარატი ამის გასატარებლად; სხვა მოსაზრება ჩვენ არ გვქონია. ჩვენ აზრად არ გვქონია, რომ განათლების სამინისტროს ჩამოვართვათ, იმის მოქმედების ფარგლებიდან გამოვაცილოთ ბიბლიოთეკებს საქმე, ჩვენ ვამბობდით პირდაპირ, რომ, როდესაც საქმე მოწესრიგდება, როდესაც ბიბლიოთეკები გაიხსნება, როდესაც ერობებს შემოვიღებთ და ბიბლიოთეკები ჩადგებიან იმ კალაპოტში, რომელიც საჭირო არის, — მაშინ ისინი გადაეცემა განათლების სამინისტროს ისე, რომ იმის მოტანა, თითქმის ბიბლიოთეკების გახსნით ჩვენ მიზნად დავისახეთ განათლების სამინისტროს მოქმედების ფარგლების შეზღუდვა — სრულიად უსამართლო და უსაფუძვლოა.

მე პირდაპირ გავყირებული ვარ, როგორ ვერ გავგო ბ. ჯაჯანაშვილმა ის უბრალო მოსაზრება, რომელიც ჩვენ მოგვყავდა მაშინ, ან როგორ ვერ გაიგო ის მოსაზრება, რომელიც ჩვენ მოგვყავს ახალ განსაზილველ კანონ-პროექტის შესახებ.

ჩვენ გავატარეთ ასეთი შეხედულება: განათლების სამინისტრო ისე არის დატვირთული უშველებელი სკოლების რიცხვით, რომ შეუძლებელია იტვირთოს კიდევ სხვა სკოლების გახსნა და პატრონობა. (ზმა: „ის ხომ უარს არ ამბობს“) სხვა სამინისტროს სკოლები: შინაგან სამინისტროსი, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი გადადიან ამ უწყების ხელში, რადგან ჩვენ სხვა გზა არ



გვექონდა. მხოლოდ ჩვენ გვაქვს საშუალება არ გადავცეთ ჯერ-ჯერობით განათლების სამინისტროს მიწათ-მოქმედების სამინისტრო სკოლები, რადგანაც სკოლების რიცხვი სულ რამოდენიმე არის.

ეს სკოლები მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არიან მკიდროდ დაკავშირებული. მიწათ-მოქმედების სამინისტროს აქვს სამოსწავლო მინდვრები; აქვს მოწყობილი ყველა ის აპარატი, რაც საჭირო არის სკოლების მართვისთვის. მართო ეს მოსაზრება და სხვა არაფერი, მართო მიზან შეწონილება და სხვა არაფერი ალაპარაკებს განათლების კომისიას, როდესაც ის ამ ნიადაგზე სდგება და როდესაც ლაპარაკობს, რომ ეს უწყება გაუძღვება ამ საქმეს.

ერთი კითხვა კიდევ, რომელიც ეხლა აქ აღძრეს. რომ ბ. ჯაჯანაშვილი ჩვენი კომისიის კრებებს დასწრებოდა დაინახავდა, რომ კომისიამ თითოეულ გამოსტევა ის აზრი, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს არა აქვს სათანადო აპარატი, რომ გაუძღვეს მიწათ-მოქმედების სკოლებს. სპეციალისტები მოვიდნენ და დაგვიმტკიცეს, რომ სათანადო აპარატი აქვს სამინისტროს და ეს აპარატი არც ერთს გროვს გასავალს და ხარჯს არ მოითხოვს. დარჩებიან ამ სამინისტროში სკოლები თუ არა? ეს აპარატი, ეს საცდელი მინდვრები, ეს სპეციალისტები მაინც დარჩებიან ბევრი საქმეების გასაძოლოად, მაშასადამე ამ სპეციალურ აპარატის მოწყობა სრულიად არ დასჭირდება სამინისტროს და არც ერთი გროვი სრულიად არ დაეხარჯება. ბევრი სხვა მოსაზრებანი ჰქონდა კომისიას და პარლამირ მოგახსენებთ, რომ პირველ თავის სხდომაზე, კომისიის უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ყველა სკოლები განათლების სამინისტროსთვის უნდა გადაეცემა, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში ვარჩიეთ საქმე და ბოლოს და ბოლოს დავადგინეთ, რომ უფრო მიზან შეწონილი იქნებოდა ეს სკოლები განათლების სამინისტროში კი არ გადასულიყო, არამედ დარჩენილიყო მიწათ-მოქმედების უწყების ხელში.

კიდევ ერთი მოსაზრება იმის გარდა, რაც მომხსენებელმა თქვენ მოგახსენათ. დასავლეთ ევროპაში, ამერიკაში, სრულიად არ ყოფილა სწავლა ისე მოწყობილი, როგორც წარმოდგენილი აქვს ამის წინ მოლაპარაკე ორატორს, მიწათ-მოქმედების სკოლები სრულიად არ არის გადაცემულა განათლების სამინისტროს ხელში.

ამ მოსაზრების გარდა ერთ მოსაზრებას კიდევ მოგიყვან. ეს აპარატი უკვე შექმნილი არის, ერობა როცა შემოვა ხელ-ახლა მოგვიხდება ამ აპარატის შექმნა, მაშასადამე ახლა უნდა დავანგრიოთ ეს აპარატი, მერე, როცა ერობა შემოვა ერთხელ კიდევ ხელ-ახლა უნდა დავანგრიოთ. და სკოლები ერობის ხელში უნდა გადავცეთ. ამისთვის წელიწადში რამდენჯერმე მოგვიხდება ამ სკოლების ნგრევა. ყველა ამ მოსაზრების გამო ჩვენ იმ აზრს დავადექით, რომ სჯობს ის სკოლები, რომელიც უკვე მოწყობილია და ახალ ხარჯს აღარ გამოიწვევს, დარჩეს ისევე იმ უწყებას, რომელშიაც არის. ეს მით უმეტეს საჭირო არის, რომ ამ სკოლების რიცხვი, ვიმეორებ, სულ რამოდენიმე არის. და განათლების უწყებას მაინც და მაინც არაფერს არ დააკლებს. და არ იქნება ამ უწყების დამცირება და მტრულის დვალით შეხედვა, რომ ესთქვათ: დეე, განათლების სამინისტრო გამოეკიდოს იმ სკოლებს, რომელნიც აქვს, და რომელთაც საშინელი ზრუნვა სჭირდებათ. და ახალი სკოლები, რომელნიც ასე თუ ისე კარგა არის დაყენებული, რომელნიც კარგათ მოწყობილნი არიან, საჭირო არ არის, რომ გადავიდნენ მის ხელში—აი, მართო ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კომისია, როდესაც ამბობდა, რომ სამეურნეო სკოლები დარჩეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყებაში.



გრ. ვეშაპელი (დ.ნ.დ.) დამოუკიდ. ნაც.-დემოკრატიულ პარტიას შეუძლიან, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ხელგახსნილად ილაპარაკოს, იმიტომ, რომ ვენ არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია ამ ერთგვარ პარტიულ კონკურენციაში, რომლის ბეჭედი უსათუოდ ახის იმ სიტყვებს, რომლებითაც იცავენ თავის დებულებას როგორც მონხრენი სამიწათ მოქმედო სამინისტროს ცენტრალიზაციისა, ისე მონხრენი მიწად მოქმედების სამინისტროს სკოლების სეპარაზაციისა ან ავტონომიისა.

უნდა დავიცვათ ის უზარლო სახელმწიფოებრივი, ეროვნული მოსახრება, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრო საერთოდ ძალიან სასტიკად ანხორციელებს და არც ერთ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ ყველაფერი თავის უწყებაში დააგროვოს; არა მარტო სკოლები, არამედ უმთავრესად ეკონომიური ძალები და ქონება.

აი თვით ეს სასახლე, რომელშიაც ჩვენ ვართ, ითვლება მიწად-მოქმედების უწყების განკარგულებაში. თქვენ დამეთანხმებით, თუ რამდენად ეტყობა სასახლეს და მის შინაურ ორგანიზაციას მიწად-მოქმედების სამინისტროს ინიციატივა და სპეციალური ცოდნის გამოყენება.

მაგრან აქ შეიძლება უფრო ძველი, უფრო პარტიული ტრადიცია ჰქონდეს იმას, ვინც ასე ემხრობა იმას, რომ საერთოდ მიწად-მოქმედების სამინისტროს ხელში მოგროვდეს ყველა ეკონომიური ძალები და, ამ შემთხვევაში, საშინლად ეჯობრება მეორე სამინისტროს ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს, რასაკვირველია, ამ შეჯობრებაში, ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო, თუ ვერ გამოდის გამარჯვებული ეს მარტო უწყების ხელმძღვანელობის პოლიტიკის საქმეა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, როგორც ნაციონალისტები უფრო მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ. სისტემის საკითხს, ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის საკითხს საქართველოში, ვიდრე იმას, თუ რომელი სამინისტრო უფრო სანდო არის, რომ მას მეტი ძალა ჰქონდეს და შესძლოს სოციალისტური რეფორმების ერთგვარ პროცესის დამზადება საქართველოში.

ცხადია, რომ საქართველოს სახელუწიფოს ცხოვრებამ აუცილებელი გახადა ცენტრალიზაციის განხორციელება არა მარტო ადმინისტრაციულ და კულტურულ საქმიანობაში. ამიტომ საეხებით მართალი არის განათლების უწყებას მეთაური და სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია, როდესაც აი ამ პრინციპის და სისტემის თვალთახედვით მოითხოვს, რომ აქაც გამოჩაღისი, და ისიც ისეთი გამოჩაღისი, რომელიც პირდაპირ არღვევს სისტემას, ეს გამოჩაღისი დაუსაბუთებლად არ იყოს დაკანონებული და ამით უპირატესოა არ ჰქონდეს მიწად-მოქმედების სამინისტროს და მის სპეციალისტებს სხვა უწყების სპეციალისტების წინაშე, გასაკვირველია, რაღა მარტო მიწად-მოქმედების სამინისტროს უწყებამ უნდა შეინარჩუნოს სპეციალური სკოლები, და მიაწოდოს მას თავისი სპეციალისტები, თავისი ტექნიკები და თავისი ცოდნა. რატომ არ შეუძლიან ასევე მოქმედებენ სხვა უწყებებში სხვა ყოველგვარ სპეციალურ სკოლებზე ან, და სად არის საზღვარი, რატომ ეს პრივილეგია უნდა დარჩეს მიწად-მოქმედების სამინისტროს. ჩვენ გვეუბნებიან და საერთოდ იმათ, ვინც წინააღმდეგი არის იმ სკოლების დაყოფისა, ეუბნებიან, რომ ტექნიკური, სპეციალური აპარატი მიწად მოქმედების სამინისტროს უკვე აქვს, და ამიტომ კარგად გაუძღვება ამ სკოლებსო. მე არ ვიცი რა აპარატზე არის ლაპარაკი. ქართული პრესის მიხედვით, არც მთავრობის გაზეთში, არც პარტიულ ორგანოების და გაზეთების ცნობებით, ჯერ ჩვენ არ გავვიგონია, ჩვენ ჯერ არ წავიკითხავს



არც ერთი ცნობა რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს რაიმე ნიბიჯი ედგას აი ამ სფეროს ორგანიზაციაში, არა თუ რეორგანიზაციაში. ყოველ შემთხვევაში, მას ყველგან აქვს ის, რაც დარჩა—ზოგი რამდენადმე დანგრეული, ზოგი კი რამდენადმე დასანგრევე და ხელახლად ასაშენებელი თავიდანვე. მიწად-მოქმედების მინისტრის საქმეა, რომ გამოიხსოს სხვა და სხვა კანონიერი აპარატი, ამისათვის მიმართოს მთავრობას სხვა და სხვა ოფიციალური ცნობებით. მაგრამ ჩვენ არა ერთხელ გავგვიგონია, რომ მას უკვე ზომები მიეღოს ან და გაეკეთებინოს მარტო საქართველოს ცხოვრებისთვის შესაფერისი საქმე სასკოლო. სამაგიეროდ ჩვენ გავგვიგია, თუ როგორ ვერ უკლის, როგორ ვერ აღის მიწად-მოქმედების სამინისტრო მინიმუმს, ვერ აღის, მეტი რომ არ ვთქვათ, ვერ აღის იმას, რაც უსათუოდ შეადგენს მის საქმეს და რაც იკისრა თავის თავზე და ძალაუფლებურად, კიდევაც რომ გააწყდეს წელში უნდა გაატაროს ცხოვრებაში, ეს არის განხორციელება მიწის დეკრეტისა.

ჩვენ ვიცით, რომ იმასაც რომ თავი დავანებოთ, თუ რამდენადც ვალდებულია მიწად-მოქმედების სამინისტრო, რომ უხელმძღვანელოს საერთოდ სოფლის მეურნეობას და რეფორმის გატარების დროს არ დაკმაყოფილდეს მარტო ჩამორთმევის ნორმის განხორციელებით და ამის შემდეგ იკისროს და ხელი შეუწყოს საერთოდ მეურნეობას,—ჩვენ ვიცით, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს არა თუ ამას, აი ამ საერთო სახელმწიფოებრივ, ეკონომიურ საქმეს სოფლისას, არამედ წმინდა ფსევალური, წმინდა სახაზინო ქონების მოვლა როგორც არის ეს მამულები თუ ახვა და სხვა დარგის, ქონება, რომელიც ხაზინის საკუთრება იყო ან ეხლა გახდა,—აი იმასაც ვერ ახერხებს. ჩვენ წავიკითხეთ იმას წინად, ძალიან პირდაპირი დაწერილი, ყოველ შემთხვევაში უყოყმანო წერილი, აგრარულ კომისიის წევრისა ბ. ანდრონიკაშვილისა, რომელიც არის ამავე დროს პარლამენტის წევრი და რომელიც მოგვითხრობს, თუ რა მდგომარეობაში არის კახეთის სახელმწიფო მამულები. ჩვენ ვაკვირეთ, რომ საერთოდ ისეთ უშედეგებელი დარგი სახელმწიფო ქონებისა, სახელმწიფო მამულისა, რომელიც ეხლა კი არ არის შექმნილი არამედ მზად მიიღო მთავრობამ მზად მიიღო ჩვენმა მთავრობამ, აი იმასაც ვერ უძღვება მიწად-მოქმედების სამინისტრო.

როგორც სჩანს, მეტი რომ არ ვთქვათ ვერ არის, ვერ ასრულებს ამ საქმეს.

ჩვენ ვიცით მიწად-მოქმედების სამინისტროს ტრაბახი, რომ მას რაღაც საკვირველად მოწყობილი აპარატი აქვს. საკვირველად მტკიცე კავშირი აქვს პროვინციის და ცენტრის უწყებებთან, რომ მათ შორის სრული კონტაქტი არის და სხვა. სხვას რომ თავი დავანებოთ, მიწად-მოქმედების სამინისტროს პოლიტიკის და სხვი ადგილობრივ ორგანიზაციების შორის, ნაციონალიზაციის საკითხში ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. არავითარი ასეთი აპარატი არ არის. აი სწორედ გუშინ იყო, რომ მთავრობის ვაზეთმა გვაუწყა მეორე ცნობა: მიწად-მოქმედების მინისტრი სჩიოდა, რომ ტყეებისთვის ვერ მომიგვია, რომ ტყეები საშინლად იჩებებიან, და ბოლოს გვეშინიან ქვეყანა დიიდუპება, რადგან თქვენ იცით, თუ რას ნიშნავს ტყეების გაჩეხვა. იგი შინაგან საქმეთა მინისტრს დაზმარებას სთხოვდა. თუ პოლიციურ თვალსაზრისით შეეხებოდათ ყველაფერს, აგრეთვე ტყის საქმეს, მაშინ რასაკვირველა ყველაფერს თავი უნდა დაუჭირას ნოე რამიშვილმა და მთელი მისი პოლიცია, მთელი მისი ძალები უნდა მოანდომოს ამ საქმეს. მაგრამ თუ მართალია და ხორციელდება ისეთი საქმე, როგორც არის ტყეების სახელმწიფოს ხელში გადასვლა და როდესაც ეს გადა-



სვლა მამულებისა შეადგენს უმთავრესად ამ მიწად-მოქმედების სამინისტროს საქმეს,—ნუ თუ თქვენ შეგიძლიანთ დაიტრაბახოთ, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს აქვს ისეთი აპარატი ცენტრში, აქვს ისეთი აპარატი პროვინციაში, რომელიც სახელმწიფო მამულებს და ქონებას კარგად უვლის.

ეხლა ჩვენ გვქვს ტყეები და მიწათ-მოქმედების სამინისტროს ვერ მოუვლია სახელმწიფო ქონებისთვის და ტყეებისთვის. მიწათ-მოქმედების სამინისტროს, ვერ მოუვლია სახელმწიფო მამულისთვის. კახეთის მამულები ვიხზარ მთავრობის ზიკრ იქ გაგზავნილ რევიზორის ბ. ანდრონიკაშვილის სიტყვას, გავერანებულა. აი სწორედ ამ დროს გვეუბნებიან, მიწათ მოქმედების სამინისტროს იმის პერსპექტივით, რომ ღას წინდაწინ დაუშაბდებია და მოუწყვია თავისი სასკოლო აპარატი და ეხლა ამით გაველენას ახდენს პარლამენტზე, უფრო უკეთ მოაწყობს ამ საქმეს ვიდრე განათლების სამინისტრო.

ბოლოს უკანასკნელი რეგლამენტა.

ჩვენ ბოლოს ყველანი თანახმანი ერთად მაინც თანახმანი ვართ: ეს ის, რომ რეორგანიზაცია უნდა მოხდეს ყველაფრისა. ამის შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო შესდგა ყველა სამინისტრომ მიიღო სათანადო ზომები სარეორგანიზაციოდ.

ჩვენ ამას წინად მოგახსენეთ თუ რამდენად ითქმას მიწათ-მოქმედების მინისტრზე, რომ ის ზოუნავდა, არა ისე ყოქვეთ მაქსიმალურად, ბალშევიკურად, არამედ ყოველ დღე, დღითი დღე, თავის სამინისტროს რეორგანიზაციაზე, ის ბრძანებები, ის განკარგულებანი, რომელიც იბეჭდებოდა გაზეთებში მოწმობენ თუ რამდენად მიწათ-მოქმედების სამინისტრო და ეს სამწუხაროდ აღსანიშნავია, ჩამორჩენილია ამ რეორგანიზაციის საკითხში თავი რომ დაეხეზბოთ თუნდაც ნაციონალიზაციის საკითხს, უბრალო მარტო რეორგანიზაციის საკითხში.

ეხლა ჩვენ გვეუბნებიან, რომ მიწათ სამინისტროს, განათლების დარგი, სამეურნეო სასკოლო განათლება, ის დარგი განათლებისა, რომელიც შეიძლება ყველაზე უფრო საფუძვლიანი გახდეს ჩვენ ეროვნულ განათლებისთვის, ჩავაბართოთ მას ბერე რატომ? რისთვის? სასოფლო სამეურნეო განათლება, საერთოდ მოგახსენებათ, ნაწილია პროფესიონალურ განათლებისა. იგი უნდა იყოს საძირკველი ჩვენი ეროვნული განათლებისა. თუ განათლების სამინისტრო მოვალეა ამისი, ეს იმისა კი არ არის მოვალე, რომ გიმნაზიები მოგვიწყოს კლასიკური გიმნაზიები, რეალური სასწავლებლები ან და სხვა და სხვა ტიპის სასწავლებლები. არამედ უმთავრესად მოვალეა იმისა, რომ ტენიკურ პროფესიონალურ განათლებაზე იზრუნოს. ამაშია მთელი ჩვენი მართველობა; აი ამიტომ ჩვენ ეს დარგი განათლებისა უნდა გადავკეთო არა სამინისტროს, რომელსაც ეროვნული არაფერი ეტყობა, არამედ ისეთ სამინისტროს, რომელიც ზრუნავს გაქართველებაზე, გაეროვნებაზე, თუ გნებავთ გაბალბონობაზე. ეს არ ეტყობა სრულიად მიწათ-მოქმედების სამინისტროს. მასში ისევ ძველი ბიუროკრატიზმია და რჩენილი. ამასთან იგი გადაიქცა ისეთ ცენტრად, რომელიც იზიდავს სრულიად უცხო, შემთხვევით მოსიარულე ხალხს და აძლევს ბიუჯეტს, რომ თავი შეინახონ, მანამდის, სანამ რუსეთში უკეთესი კომბინაცია მოხდა და ისევ იქითვე წავლენ.

აი ამ სამინისტროს უნდა ეს მთავარი დარგი ჩვენი განათლებისა თავის ხელში აიღოს. ჩვენ შეიძლება საყვედური თავის დროზე გვეთქვას განათლების სამინისტროსთვის. ეგ შეიძლება, მაგრამ ერთში კი ყველა თანახმა უნდა იყვეს რომ ამ სამინისტროს უნდა მოეხდინა სრული ნაციონალიზაცია და სრული გაე-



როვნება და ეს კი გახლავთ, უკვე მოხდა. როგორ განიზაცია, გაეროვნება ვაჩაძე ხოსნება ჩვენი უწყებისა. აქ აის საბოლოოდ მოწყობილი აპარატი, როგორც პროვინციაში ისე ცენტრში და დარდესაც გვეუბნებიან, რომ ამ სამინისტროს გამოაცალეთ ეს მთავარი დედა ძარღვი განათლებისა და გადაეცით იმ სამინისტროს, რომელსაც, დიდი ხანი არ არის იმის შენდევ, რაც სატყუო კურსები მოეწყო ტყის მცველებია და ტყის მცველები, ხომ სპეციალისტები არ არიან განათლებაში, რომ გაიგონ და ახ.ნან 7 მარტის დეკრეტი. ისინი ხომ უბრალო დარაჯები არიან. და ამ უბრალო დარაჯებისთვის კურსები მოაწყეს და რომელ ენაზე სწავლობდნენ, როგორ გგონიათ ქართულ ენაზე? არა რუსულ ენაზე სწავლობდნენ, ესე იგი ქართული ტყე, ქართული ქვეყანა უნდა იქნეს დატული იმ დარაჯებით, რომ ლიაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რუსული განათლება მიიღეს, საქართველოში გაათავეს რუსული კურსები მიწათ-მოქმედების სამინისტროში. ჩვენ ძალიან გვეშინიან, რომ სწორედ ამ გზით წავა მოვლა საქართველოს სამეურნეო სკოლებისა მიწათ-მოქმედების სამინისტროში. და ამიტომ ჩვენ წინააღმდეგ ვართ, რომ პრინციპი სისტემისა დაირღვეს, რომელიც მოითხოვს, რომ ყველა სკოლები იყვეს ერთ უწყების ხელში და გაკეთდეს გამონაკლისი და ისიც ამ სამინისტროსთვის, რომელიც ყველაზე უფრო ნაკლებ ზრუნავს ისეთ როგორ განიზაციაზე, რომელიც აუცილებელი არის სწავლა-განათლებისთვის ისეთ მთავარ საკითხში, მთავარ დარგში, როგორც არის სამეურნეო სწავლა-განათლების საქმე.

შალვა ნუცუბიძე. (ს.-ფ.) ბატონებო! პარლამენტის წევრს ჯაჯანაშვილს უკეთებენ სააგიტაციო სიტყვა წარმოსთქვაო. მე კი ვიტყვ, მან მწარე სიტყვა წარმოსთქვა. მაგრამ ეს მწარე სიტყვა თქმევქნა იმ მდგომარეობამ, რომელიც ამ ბოლო დღოს შეიქმნა.

მე სრულიად ვეთანხმები პარლამენტის წევრს ჯაჯანაშვილს, რომ მართლაც, საერო განათლების სამინისტროს მთელი რიგი ისეთი ნაბიჯები გადაუდგამს, რომელიც სრულიად არ არის გასაზარალებელი არც ფაქტურად შექმნილ მდგომარეობის ათვალსაზრისით, არც სხვა რამ მოსახრებით.

ბ. ნათამე ამ შეეცადა გაემართლებინა ესეთი ნაბიჯები და ბიბლიოთეკის საკითხი გაიხსენა. მე მოკლედ ვიტყვი, და მართლაც, თუ ბიბლიოთეკის საკითხი იყო დასმული, და იმ სახით გადაწყვეტილი, როგორც ეს საჭირო იყო და იგი არ გადასწყდა სხვა რაიმე მოსაზრებით, ამათ გამოაშკარავებს სულ ახლო მომავალი. მაგრამ მე ვშიშობ, რომ ბიბლიოთეკების ასეთ დროებით წესით შემოღებამ ცუდი შედეგები არ მოიტანოს. და აი დღეს ეს საკითხიც გადაიჭრება სწორედ იმ გვარად, სწორედ დროებით გამოსახიერდება, სანამ ცხოვრება საქართველოში მქიდრო ნიადაგზე დამყარდება, დამფუძნებელ კრების სახით. მე ვფიქრობ, რომ ამ სახით საკითხის გადაწყვეტა უნდა დაკავშირებული იყოს კომისრის ხელში ბიბლიოთეკების გადაცემასთან.

თუ ახლო მომავალში ჩვენი აზრი არ გამართლდა, მაშინ დავრწმუნდებით, რომ მართლა უფრო მაღალი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა განათლების კომისია და ის ფრაქცია, რომელმაც ეს საქმე ესე დააყენა.

მე ძალიან ვწუხვარ ბატონებო, რომ აქ ესე ისმის საკითხი განათლების უწყების შესახებ, რომ საბუთს აძლევთ უკიდურეს მემარჯვენეებს გამოვიდნენ, ტ ჩვენ შორის ატეხილი დავა გამოიყენონ და გვიციყინონ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ფრაქცია ამ დავაში პასიურ როლს თამაშობს და თავდაცვის ტაქტიკას აწარმოებს. უკანასკნელ შემთხვევაში ეს საკვებით გამართლდა. (ვეშაველი: ეს მეტრ-მეტი პასიურია).



მე შემთხვევით არ მაჩანია ის გარემოება, ის ზოგლენა, რომელიც დღეს აქ მოხდა. განათლების სამინისტრო წარმოადგენელმა დაუკავშირა სამეცნიერო სკოლების მიწად მოქმედებას სამინისტროს ხელში დარჩენის საჭიროება აგრარულ რეფორმას. მე ვამბობ, აქაც ახლო მომავალში არ დაგვეჭირდეს გამოკვლევა იმისა, თუ რა მიზანი ჰქონდა ამ კომისიას.

მე ვსთქვი რომ, აგრარულ რეფორმას სკოლასთან დიდი კავშირი თავიდანვე არ უნდა ჰქონდეს, — რაც შეეხება იმ დავას, რომელიც პრინციპიალურად სწყდებოდა ამა თუ იმ სკოლის ამა თუ იმ უწყობის მიკუთვნაზე, მე ვფიქრობ, რომ აგრარულ რეფორმას სკოლასთან იმდენი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იყოს რაიმე ხაზის აღება, და ამის გასამართლებლათ მხოლოდ ზოგად საბუთებს მოყვანა. მართლა რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამ მომავალ აგრარულ რეფორმას სკოლის საკითხთან. აგრარული რეფორმა თავის თავად სწყვეტს მიწის შეფლობას. შემდეგში ისმის პრაქტიკული საკითხი ამის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ სკოლა არ მიიღებს მონაწილეობას აგრარულ საკითხში იმ მომენტამდის, მინამდისაც გადასწყდება მიწის მფლობელობის საკითხი ჩვენში. ამ მხრივ კომისიამ უკვე გაითვალისწინა მეორე მხარე, მიწის სარგებლობის საკითხი, მე ვფიქრობ, რომ ალბად კომისიას ჰქონია ვითომც განათლების სამინისტროს ხელში მიწასთან დაკავშირებული სამეურნეო სკოლების დარჩენის ის შედეგი მოჰყვება, რომ განათლების სამინისტრო აქ მოახდენს სოციალისტურ ეკსპერიმენტებს მიწის სარგებლობის დროს და გაიტანს ხალხში ასეთ შეხედულებას. მე ვფიქრობ რომ თუ ასეთი ნოსაზრება არსებობს, და მე ეჭვი ნებადება რომ ასეთი სის ტენატიური ჩამოცლა განათლების სამინისტროსაგან მიუღი რიგი საქმეებისა რაღაც მოსაზრებით არის გამოწვეული და ნახელმძღვანელი, თუ ეს ესე არის, მაშინ ძალიან საწყალობა რომ ასეთი სერიოზული საკითხი როგორც არის განათლების საკითხი უნდა გადასწყდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ ხაზის, და მოსაზრების მიხედვით.



მე ბატონებო ეჭვით გამოვსთქვამ და კატეგორიულათ არ ვამტკიცებ, მე ხაზს უსვამ იმ გარემოებას, რომ მხოლოდ თავი დავიცვათ, ამ მოსაზრებით გვილაპარაკნია ესე ცხარედ, როგორც ილაპარაკა ბ. ჯაჯანაშვილმა.

ეხლა, რომ ეს საკითხი არსებითად გამოვარკვიოთ, რომელზედაც ეყარება მიმსენებელი და მისი დამკველი ნათაძე, ჩვენ ამ საბუთში ვერ ვნახავთ ისეთ რამეს, რომელიც გვეუბნებოდეს, რომ უსაუოდ ესე უნდა გადავსკრაოთ საკითხი როგორც კომისიას ჰსურს. ჩვენ სწორეთ ამ უსაბუთობის გამო, ვადგივართ ასეთ ეჭვის გზას.

საბუთი შემდეგია, ასეთი მარტივი საბუთის მოყვანა, რომელიც ნათაძემ მოიყვანა ამ წინადადების დაცვის, თავის წინადადების დაცვის დროს, პირდაპირ შეუძლებლად მიმაჩნია.

განათლების სამინისტროს ძალიან ბევრი საქმე აქვს. იგი დატვირთული არის საქმეებით. მიწათმოქმედების სამინისტრო კი არ არის დატვირთული მას საქმე არა აქვს. აი ესეთი ელემენტარული არგუმენტით, არა სერიოზულ არგუმენტით, სერიოზულ საკითხის დაცვა მე დასაშვებად არ მიმაჩნია. მე ვფიქრობ, რომ თითონ ნათაძემ სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევს თავის არგუმენტს.

აქ საქმარისად აღინიშნა, რომ მიწათ მოქმედების სამინისტრო არა თუ არ არის დატვირთული საქმეებით, როგორც აქ ბრძანეს, არამედ მას იმდენი საქმე ჰქონია, და ისიც ვიციოთ სხვა წყაროებიდან, რომ სხვა და სხვა საქმეებს ვერ უვლის, და ამ საქმესაც ვერ მოუვლის. ბ. გელეიშვილის გუშინდელ სიტ-



ყვიდან, აგრეთვე აშკარად სჩანდა თუ რა გაჭირებაშია მიწათ მოქმედების სამინისტრო, რომ მთელ საქართველოში ვერ პოულობს ხალხს, რომ გააქვები-ოს ის აუარებელი და სერიოზული საქმეები, ის საქმეები, რომელიც მის წინა-შე არის დამდგარი.

მაშასადამე, მიწათ მოქმედების სამინისტრო არც ისეთი თავისუფალი ყოფილა საქმეებიდან, რომ შესაძლებელი იყოს კიდევ ახალ საქმის მიკუთვნილება მაგრამ ესეც, რომ არ იყოს, განა მის მიხედვით, რომ არაფერი საქმე არა აქვს კაცს, განა შეიძლება ასეთ სერიოზულ საქმის მინდობა მათთვის. მე ვფიქრობ, რომ არა (სიცილი).


უნდა მოგხსენოთ, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს ისეც ძალიან ბევრი საქმე აქვს, გაცილებით უფრო ნეტი, ვიდრე განათლების სამინისტროს, რადგანაც მიწათ-მოქმედების მინისტრი ძალიან ხშირად მეტაფიზიკურ თვალ-საზრისზედ სდგას. სწორედ ამ მოსაზრებით შენობებიც თავის საქმეთ მიაჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ ესეც მიწაზე არის აკებული, ასეთი მეტაფიზიკური თვალსაზრისი საქმეს ფრიათ ართულებს.

მე მგონია, ბ. ნათაძეს არგუმენტი, ამ შემთხვევაში არ გამოადგა.

მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, — რომ მიწათ მოქმედების სამინისტრო არსებითად ვერ გაუძღვება განათლების საქმეს და მართლა თუ მართალია ნათაძე რომ სამინისტრო არ არის რამით დატვირთული, ერთი რამ ამაში მართალია, ეს ის, რომ იგი არ არის დატვირთული განათლებით.

მე ვფიქრობ, რომ განათლების საქმეს განათლებული ხელმძღვანელობა უნდა და საამისო აპარატი განათლების სამინისტროს უფრო ექნება ვიდრე მიწათ მოქმედების სამინისტროს. ამაში დამეთანხმებ, როგორც მომხსენებელი ისე მისი ამხანაგები ბ. ნათაძე.

დასასრულ ერთი პედაგოგიური მოსაზრება უნდა წამოვაყენო. გათიშვა ამ განათლებსა, ესეც ვსთქვამთ, მართო პრაქტიკულ ცოდნის შეძენა, სსსურველი არ არის. საერთო არსებული პედაგოგიური მიმდინარეობა, ეს მომხსენებელს ძალიან კარგად მოეხსენება, ამაში დარწმუნებული ვარ, ეს იყის — არის საერთო ცდა, არამც თუ მართო ცენტრალიზაციის, რომელზედაც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, არამედ, ეს არის ცდა პრაქტიკისა და თეორეტიულ ცნობების დაკავშირების ცდა. ამაში დამეთანხმება მომხსენებელი, ეს არის ძირითადი მთავარი მიმდინარეობა, ძირითადი დებულება თანამედროვე პედაგოგისა, ამას მე მოვავუნებ მომხსენებელს და ამის დასაბუთებას არ შეუდგები, ეს მისთვის თავის თავად ცხადია და ცენტრალური პრინციპი მოითხოვს, რომ საერო განათლების ხელში მოჰყვეს ყველა სკოლები, პრაქტიკულ და თეორეტიულ ცნობების დაკავშირებას ტენდენცია მოითხოვს აგრეთვე, რომ საცდელი მიწები, პრაქტიკულ ყოველგვარი მიმდინარეობა იყოს დაკავშირებული თეორეტიულ ცოდნაზე და მაშასადამე გაყუდა ორ სამინისტროს შუა ამ სკოლებისა სრულად მიუღებელი იქნება და წინააღმდეგი ია, ამ დიად და საფუძველიან პედაგოგიურ მიმდინარეობისა. მაგრამ აქ ითქვა, რომ ეს საცდელი მინდვრები მიწათ მოქმედების სამინისტროს ხელში უკვე არის (ხმა: სად არის, სად?) შესაძლებელია, ვიფიქროთ რომ ამ მოწყობილ საქმეში განათლებული ინსტრუქტორები არიან, და როგორც მინისტრმა გამოაცხადა, შეუძლებელია ეს გამოეცალოს მიწათ მოქმედების სამინისტროს. განა მიწათ-მოქმედების მინისტრი ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულ ავტონომიის პრინციპზე არ სდგას როცა უწინ მან უნდა მოიხმაროს ის, რაც მის უწყების ხელში არის? არა მგონია, რომ მიწათ-მოქმედების მინისტრი ასეთი უკიდურე-



სი ავტონომიისტიკა იყო. მაშასადამე მივიღეთ მხედველობაში ის თვალსაზრისი, რომელიც მინისტრმა წამოაყენა, რომ ეს სახელმწიფო ქონებაა, და ყველა სამინისტროს შეუძლიან გამოიყენონ, ის, რაც მიწათ-მოქმედების უწყების განკარგულებაში იმყოფება. მაშინის უწყების განკარგულებაში იმყოფება საცდელი მინდორები და ინსტრუქტორები,—განა იმ სამინისტროს, რომელიც განათლების საქმეს ემსახურება, არ შეუძლიან გამოიყენოს ის მასალები, რომელიც მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში არის? მაშ არ შეუძლიან მას, რომ საერთო განათლების მიზნით, რომ თეორეტიული ცოდნასთან ერთად უხელმძღვანელოს მას აგრეთვე პრაქტიკულად და დააყენოს იმ დონეზე, რომელსაც თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერება და ცხოვრება მოითხოვს?

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მიწათ-მოქმედების მინისტრს.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნლე ხაშერიკი.** ბატონებო, თავიდანვე მე არ დავესწარი იმ კამათს, რომელიც ამ საკითხის გარშემო გაიმართა, მაგრამ როცა ეხლა მოვისმინე საბუთები, მე ვფიქრობ ამ კითხვის გარეშე ბევრი ვაუგებრობა არის. ალბად ამას დიდ პრინციპიალური მნიშვნელობას აძლევენ. ნამდვილად კი ეს არის საკითხი მიზანშეწონილობისა: რომელ უწყებას აქვს შესაფერისი აპარატი და რომელ უწყების მოქმედებიდან გამომდინარეობს, რომ სწორედ ეს სამეურნეო სწავლა-განათლებლის საქმე უქეთესათ მორაყოს? აი, როგორ სდგას კითხვა, და თუ ჩვენ მართო კითხვას ესე დავაყენებთ, თავისთავად ცხადია, რომ განათლების სამინისტრო, რომელიც მართო განათლების საქმეს ხელმძღვანელობს, და რომელსაც არავინ ედავება, ვერ უხელმძღვანელებს ასეთ სპეციალურ სავანს, როგორც არის სამეურნეო განათლება. მისი ხასიათი მჭიდროთ დაკავშირებულია მეურნეობის სისტემასთან. მე ამაზე ბევრ ლაპარაკს არ ვაფარძებ, მოვიყვან დასავლეთ ევროპიულ მაგალითებს.

ყველა განათლებული ქვეყანა, სადაც სწავლა-განათლება გაერთიანებულია, იქაც ასეთი გამოწაკლისი ნაწილად დაშვებული არის. პრაქტიკული სკოლები, სამეურნეო, აგრარული სკოლები, ან არის ერობის, ან მიწად-მოამედეგების სამინისტროს ხელში. რაც შეეხება უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებს, სამეურნეო ინსტიტუტებს, მაგალითად, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტებს და სკოლებს,—ეს განათლების სამინისტროს ხელში არის. რატომ არის ასეთი განაწილება? იმიტომ, რომ პრაქტიკული სასეურნეო განათლება მიზნით ისახავს, ხელი შეუწყოს მეურნეობის განვითარებას. ეს განათლება შევუბუღია მეურნეობის იმ სისტემაზე, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნებში არსებობს. როგორ შეიძლება განათლების სამინისტრო შევიდეს არსებითად იმის განხილვაში, რაც იმის სავანს აუ შეადგენს? მიწად-მოქმედების სამინისტრო მეცადინეობს ხელი შეუწყოს სასოფლო მეურნეობის აყვავებას. და ცხოვრებაში სასოფლო მეურნეობის განვითარება არის ერთი საშუალებათაგანი, ერთი იარაღთაგანი ამ საერთო მიზნის განხორციელებისა. აი იმიტომ არის სწორედ სხვა და სხვა ქვეყნებში, სადაც, როგორც მოგვხსენებთ, სწავლა განათლება, ყოველივე სკოლები გაერთიანებული არის საერთო განათლების სამინისტროს ხელში,—ეს გამოწაკლისი დაშვებული არის. და აქ არ ვიცი, როგორ უკავშირებენ აგრარულ რეფორმის გატარებას ამ სკოლების საქმეს, მაგრამ ერთი რამეს თქმა კი შეიძლება:—განათლების სამინისტროს, როცა მას ჯერ არა აქვს არავითარი აპარატი შედგენილი, მას არ შეუძლიან ამ საქმეს გაუქდვეს. ყველა ის, რაც ჩვენ გვაქვს, რაც ჩვენ სამინისტროში არის სპეციალურად დაგროვილი, სასოფლო



მეურნეობის ხელის შესაწყობლად, ყველა ეს ემსახურება სხვათა შორის მასწავლებელ-განათლებას სამეურნეო სკოლებში.

აქ, ბატონებო, ჩემაწინ მოლაპარაკე ორატორი ამბობდა, — თუ კითხვა იმას შეეხება, რომ რომელიმე ქონება სწავლის უქეთესათ დასაყენებლათ საჭირო არის, მაშინ ეს გადაეცით განათლების სამინისტროსო. ეს, რააკვირველია ესე იქნება. ყველაფერი, რაც საჭიროა ამა თუ იმ უწყებისთვის სახელმწიფო ქონებისაგან გადაეცემა სწორედ იმ უწყებას, რომლისთვისაც საჭირო არის. ამ ფაქტს დავა არ არიხ ამაზე. მაგრამ თითონ ის ორგანო, რომლის გადაცემასაც თქვენ ფიქრობთ თქვენი პროექტით, ეს ორგანიზაცია ემსახურება არა მარტო სამეურნეო განათლების საქმეს, არამედ ემსახურება უფრო ზოგად საქმეს.

აი ავიღოთ ინსტრუქტორები. აქ განა მ-რტო მეურნეობის განათლების იაქმე არის საზრუნველი? არა. უნდა მოეწყოს საცდელი მინდვრები, საჩვენებელი მინდვრები, სხვა და სხვა ღონისძიებით ხელი შეუწყოს სასოფლო მეურნეობის განვითარებას. თუ ესე არა, მაშინ თქვენ უნდა შექმნათ პარალელური ორგანიზაცია, რომელიც ჩვენ უწყებას აქვს. სამეურნეო ინსპექცია, მისი ინსტრუქტორები, მისი აგრონომები უნდა დარჩეს ჩვენ უწყებაში და ამავე დროს განათლების უწყებამ უნდა შექმნას მთელი შტატი სპეციალისტებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საქმე გადაეცემა ხელში დილექტატებს, რომელმაც იციან საერთო განათლების საქმე, მაგრამ არ იციან, რომ ამა თუ იმ კუთხეში, ამა თუ იმ პროვინციაში, როგორ მოაწყონ პრაქტიკულად სამეურნეო სკოლები. პრაქტიკულ სამეურნეო სკოლებს უპირველესი მიზანი აქვთ დასახული, რომ ეს ხელს შეუწყობს მეურნეობის განვითარებას იმ დარგში, რომელშიაც ესაჭიროება, შეუფეროს მეურნეობის განვითარება პროვინციაში კლიმატიურ ნიადაგს ამა თუ იმ კუთხისას. საერთოდ ყველა სამეურნეო სკოლებს უნდა ჰქონდეთ მიზნათ ხელი შეუწყოს მეურნეობის აღჭურვაას. და თუ ეს ესე არის მე თქვენ გეკითხებით, რომელი უწყება უფრო შეასრულებს ამას? განა ეს უწყება, რომელიც საერთო განათლებას ხელმძღვანელობს, თუ ის უწყება, რომელიც მოწოდებული არის სწორედ მეურნეობის სკოლებს, სასოფლო მეურნეობას უხელმძღვანელოს და ხელი შეუწყოს მის განვითარებას?

მე მგონი, ამაში არავინ შეგვედავება, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს მიზანი არის არა მარტო რეფორმის გატარება. რეფორმის გატარება ეს დროებითი მიზანი არის. რეფორმა გატარდება ერთ ორ წელიწადში, მხოლოდ მისი მიზანი და მოვალეობა მუდმივი არის. ეს მუდმივი მოვალეობა გამოიხატება სასოფლო მეურნეობის ტექნიკაში და სასოფლო მეურნეობის განვითარებაში. რომ განათლების სამინისტროს ხელში დარჩეს ეს სკოლები, ის ვერ შეასრულებს თავის სპეციალურ დანიშნულებას და აი, რატომ ვართ წინააღმდეგი, რომ ეს სკოლები გადაეცეს განათლების სამინისტროს.

ჩვენ გვაქვს სხვა სკოლები, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს სასოფლო მეურნეობასთან, და ეს სკოლები, უდავოა და ლაპარაკი არ უნდა, რომ გადავლენ ჩვენგან განათლების სამინისტროში. მაგრამ თუ ამაზე ჩვენ ვედავებით, ჩვენ გვეშინიან, რომ ეს სკოლები გადავა ისეთ უწყების ხელში, რომელიც ვერ შესძლებს ამ მიზნის გაძღვას.

ახლა ორიოდე სიტყვა, რაც ითქვა თითონ უწყებაზე. ჩვენი უწყება თურმე გახდა ბუდე, თავშესაფარი მოსიარულე ხალხისთვის; და იმას მიზნათ აქვს სხვა რაღაც და არა ჩვენ სახელმწიფოს წინასწარ გამოკვება, განვითარება და ჩვენი საკუთარი მიზნების შესრულება. ეს, როდესაც მარჯვნიდან მესმის, ეს საყვედური არ არის გამოწვეული მეურნეობის საქმის ინტერესით, რამდენათაც



ერთგვარ უნდობლობით, რომელსაც მემარჯვენე ნაწილი იჩენდა და დღესაც იჩენს მიწად-მოქმედების სამინისტროსადმი. ეს ადვილი გასაგებია და ესაჩვენებელი. ის წრეები, რომელიც არ თანაუგრძობენ და ვერ თანაუგრძობენ აგრარულ რეფორმის გატარებას, ამ წრეებისთვის ყველა ჩვენი მოქმედება თავიდან ბოლომდის მიუღებელი არის და ისინი ტენდენციურად გააშუქებენ ჩვენ უწყების მოღვაწეობას. ეს მათი მხრივ ბუნებრივია, ეს მე მესმის, მხოლოდ მე საჭიროდ მიმაჩნია აღენიშნო, რომ ჩვენი მოღვაწეობის ფაქტები უჩვენებენ ახლო მოსავალში მათ, რომ მათი მოსაზრება სინამდვილეს არ შეესაბამება.

აქ იყო წინეთ კითხვა ეს დასმული სტატისტიკის შესახებ, და სხვათა შორის, იმავე მემარჯვენე სექტორის განცხადება იყო, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახ არ გაჰყავს ნაციონალიზაცია ცხოვრებაში, მიწად-მოქმედების სამინისტრო განზრახ იყვანს არა ქართველ მუშაკებს სამსახურში სისტემატიურად და სხვა. ეს თავიდან ბოლომდის სინამდვილეს მოკლებული არის მიწად მოქმედების სამინისტრო სცდილობდა, რომ მოეწყო მისი მუშაობა საკუთარ ძალებით, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ აქ იმდენი სპეციალური საგანი არის, სპეციალური ცოდნა არის საჭირო, რომ ზეპრულად ნაციონალიზაციის გატარება ამ უწყებაში გამოიწვევდა მთელ ამ უწყების დანგრევას. ეს მართალია, ჩვენ ძალიან ფრთხილად ვეპყრობოდით ნაციონალიზაციის გატარებას, ჩვენ მას ვატარებდით იმდენათ, რამდენათაც საჭირო იყო, შესაძლებელი იყო, რამდენად ფაქტიური ძალა შეგვძლებდა, და რამდენად საქმის ინტერესი ამით არ ზარალდებოდა. რასაკვირველია ჩვენ არ შეგვიძლია ყველას ერთბაშით დათხოვნა, —სამაგიეროს ვერ ვიპოვნით სხვა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებისთვის. მე უნდა დავეთანხმო ჩემ წინ მოლაპარაკე ორატორს, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს ბევრი განათლებული ხალხი ჰყავს, და მე მგონი თქვენც არ დაიწუნებდით ამისთანა განათლებულ ხალხს. მაგალითად ბოტანიკურ ბაღის გაბგენი მეცნიერულ ძალებს წარმოადგენენ და სხვა, ვინც მიწად-მოქმედების სამინისტროში მუშაობენ, იმათ ცოდნა და გამოცდილება აქვთ, რომ დაბალ და საშუალო საშუალო სსსწავლებლებს გაუძღვნენ, და შეუძლიათ იმდენი ცოდნა გამოიჩინონ, რამდენიც ამ უწყებისთვის, ამ საქმისთვის საჭირო არის.

ლევ ნათაძე. (ს.-დ.) ძალიან კარგია, რომ ბ. ნუსტუბიძემ დაგვიყენა პირდაპირ საკითხი:—თუ რა კავშირი აქვს სკოლის საკითხს აგრარულ რეფორმის გატარებასთან. მხოლოდ ძალიან ცუდია, რომ ამ საკითხზე ის ვერ შეჩერდა, როგორც საჭირო არის და ისე ვერ ჩაუყვირდა ამ საკითხს, რომ ეს კავშირი ეხსნა.

მე ვეცდები ეს კავშირი უფრო თვალსაჩინო გავხადო. მას ისე აქვს წარმოდგენილი ეს საქმე, რომ აგრარული რეფორმა ორი მომენტიდან შესდგება: ერთი მომენტი ჩამორთმევა მიწებისა, მეორე მომენტი მიწების დარიცხვა. ამას იქით მან აგრარულ რეფორმაში ვერაფერი ვერ დაინახა, მე კიდევ ვაქცევ ყურადღებას მესამე მხარეს, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს სკოლის საკითხთან. ეს მესამე მომენტი მდგომარეობს იმაში, რომ აგრარულ რეფორმის გატარება იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩამოერთვას მიწა და მიწა დაუოციდეს, არამედ არის მესამე მომენტი, რომელიც ჩვენი თვალსაზრით ით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი არის. ეს მომენტი მასში მდგომარეობს, რომ სახელმწიფომ უნდა მოაწყოს თვალსაჩინო სამაგალითო ეკონომიები. სახელმწიფომ არ უნდა დაანგრიოს ის წინანდელი კერა კულტურისა, რომელიც მან ხელში ჩაიგდო: ბევრი სამაგალითო ეკონომიური დაწესებულებანი აქვს მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში ჩაგდებული.



ავიღოთ ის საფელისწულო მამულები, რომელიც საუკხოვრით იყვნენ მოწყობილნი და რომლის მოწყობისთვის არავეითარი ფული და ძალა არ იყო დაზოგვილი. ეს ეკონომიები, ეს შხა-შხარკულად მოწყობილი მეურნეობა ჩვენმა სამინისტრომ და ჩვენმა მთავრობამ ხელში ჩაიგდო. ამ მეურნეობის შერჩენა, მოწყობა გაუმჯობესობა, უკეთეს დონეზე დაყენება და სხვა მეურნეობის მოწყობა აი შესამე მხარე, რომელიც ვალად აწეება მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმის გატარების დროს. და ჩვენ ამას მივაქცევთ ყურადღებას. თქვენც დაინახავდით რა პირდაპირი კავშირი აქვს ამ აგრარულ რეფორმის გატარებას და აგრარულ სკოლების საკითხს. მიწათ-მოქმედების სამინისტროსთვის სულ ერთია—ექნება თავის უწყებაში სამეურნეო სკოლები თუ არ ექნება, იმას მაინც მოუხდება იმისთანა რამის დაარსება, რასაც სკოლებთან პირდაპირი კავშირი აქვს. ხომ არ შეიძლება ისე მოაწყოთ სამაგალითო ეკონომიები, რომ ერთნაირი სწავლა-განათლება, სპეციალური სწავლა არ შემოიღო მეურნეობისთვის ამ ეკონომიებში. რანაირად გინდათ შეინარჩუნოთ მაგალითად, საფელისწულო მამულები, რომ ამ მამულებში არ ჩააყენოთ მასწავლებლები და შეგირდები?

რანაირად გინდათ მოაწყოთ ის დაწესებულებები, რომელთაც „პიტრმნიკები“ ჰქვიათ, რომ ისინი, ვინც იქ არიან, ვინც იმისთვის მუშაობენ, არაფერი აი ასწავლოთ? ის არ სჯობიან, რომ ეს სწავლა ავიყვანოთ იმ დონეზე, რომელსაც მოითხოვს ნამდვილი პედაგოგიური საქმე? ამნაირად ჩვენ მივადექით ამ საკითხს და აუარებელ საქმეებით დატვირთულ უწყების უფრო დატვირთვა, ჩვენ დავინახეთ შეუძლებლად. მიწათ-მოქმედების სამინისტრო უნდა გაუძღვეს კარგად თუ ცუდად თავის საქმეს, სულ ერთია იმან ფული უნდა დაიხარჯოს, სულ ერთია ამნაირი დაწესებულება, ამნაირი აპარატი თავის უწყებაში მაინც უნდა ჰქონდეს. მაშასადამე ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, მიწათ-მოქმედების სამინისტრო თუმცა ძალიან დატვირთულია, თუმცა არა ნაკლები დატვირთულია, ვიდრე განათლების სამინისტრო, მაგრამ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ მაინც უნდა შემოიღოს ისეთი დაწესებულებანი, მას მაინც უნდა ჰქონდეს ერთნაირი რამ, რასაც სკოლები ეწოდება, რაც სკოლის მაგივრობას გასწევს.

სულ ერთია მან ერთნაირი აპარატი უნდა შემოიღოს ამ დარგში, მაშინ ამ დატვირთვაზე ლაპარაკი ზედმეტია. დაე, იყოს დატვირთული, მაგრამ რაკი მაინც ეს აპარატი უნდა ჰქონდეს, რაკი ეს ამას კისრულობს, სკოლებიც ამან უნდა იკისროს და ზედმეტია აქ ლაპარაკი იმაზე, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრო უფრო დატვირთულია და ამ საქმეს ვერ გაუძღვება. რაკი ეს საქმე მან მაინც უნდა იკისროს, მაშასადამე პირდაპირ ამ დაწესებულებებს სკოლებად ვაქცევთ, ამ სამაგალითო ეკონომიებში, სამაგალითო სწავლას შემოვიღებთ და მიწათ-მოქმედების სამინისტროში დავაარებთ იმ სკოლებს, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ამ სამინისტროსთან.

რაც შეეხება განათლების ცენზს, ნუცუბიძე, მე მგონია, თიოონაც დაგვეთანხმება, რომ მართო სიტყვის გასალამაზებლად იყო, რომ სწავლა-აღზრდას განათლება უნდა. რასაკვირველია, ეს მართალი არის, მაგრამ ერთი დარგის განათლების მიღებულს არ შეიძლება დაევალოს ისეთი საქმე, რომელიც მოითხოვს სულ სხვა დარგის განათლებას. ცხადია, მიწათ-მოქმედების განათლების საქმისთვის ლათინურის მასწავლებელი არ ივარგებს. ისა სჯობია, რომ ამ დარგისთვის იყოს სპეციალური სავანებო აპარატი, რომ ასეთი სკოლები თვალსაჩინოთ მოვაწყოთ.



მერე ორი სამი სიტყვა დემიგოგის შესახებ.

ბატონმა ნუცუბიძემ სიტყვა, რომ ეს კამათი და დავა უწყებათა შორის მართო შემარჯვენებს გაახარებდსო, რომ ისინი არ უნდა ვავახაროთო. მე მგონია, რომ შემარჯვენებს ის გაახარებდათ, როცა ნუცუბიძემ იკადრა და გამოვიდა ისე, როგორც შემარჯვენებს სჩვევიათ: ჩვენ გულში ხელის ფათური დაიწყო: იმან იკადრა და რალაცა მოგვაწერა, რომ ვითომ ჩვენ კანონ-პროექტის გატარება გვინდა მართო იმისთვის, რომ მომავალში რალაშიაც ვისარგებლოთ. დამფუძნებელი კრებაც კი ახსენა. ყველამ, რასაკვირველია, ვერ გაიგო მისი აზრი, მაგრამ აზრი სრულიად ცხადი იყო, რომ ჩვენ სადემიგოგო მასალათ გვინდა გამოვიყენოთ. მე პირდაპირ ვაცხადებ, როგორც თავმჯდომარე განათლების კომისია, რომ ამნაირი აზრები სწავლა-განათლების საქმეში ჩვენ თავში არ გვექონია, ამისთანა ტენდენციას სწავლა-განათლების საქმეში ჩვენ თავის დღეში არ გვატარებთ და ჩვენ განათლების საქმეს ისე შევხედავთ, როგორც განათლების საქმეს და სხვა არავითარ დემიგოგიურ მოსაზრებით არ ვიხელმძღვანელებთ.

თავმჯდომარე, არის წინადადება შემოტანილი, რომ კამათი შევწყვიტოთ ვინ არის მომხრე, რომ კამათი შესწყდეს? ამრიგათ კამათი მოსპობილი გახლავთ. (ხმები: უკაცრავად, წინააღმდეგი მეტია) კენჭს უყრი ხელმეორეთ. კამათი გრძელდება. სიტყვა ეკუთვნის ბ. გაბაშვილს.

რევაზ გაბაშვილი. (დ. ნ. დ.) ბატონებო, მიწათ-მოქმედების მინისტრი ამტკიცებდა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა არ არის პრინციპიალური საკითხი, არამედ მიზან შეწონილობის ტ პრაქტიკის საქმეაო. რადგანაც მის სამინისტროს უწყებაში არის ამისთანა აპარატი, ამიტომ მას უნდა გადაეცეს ეს სკოლები.

სრულიად საწინააღმდეგოს ბრძანებდა აქ ბ. ნათაძე. ნათაძე ამტკიცებდა, სწორეთ, რომ პრინციპიალურად, რადგანაც მიწათ-მოქმედების სამინისტრო უკეთ არის მოწყობილი, უკეთ იცის სად რა მიწა არის, უკეთ იცის შეკრება ხალხისა, და მთელი იმ აპარატის მოწყობა, რომელიც ამ საკითხს შეეხება, ამისდვის სკოლები მას უნდა გადაეცესო.

რასაკვირველია, ეს პრინციპის და პრაქტიკის დავა არის და ისინი ამას თითონ ვადასწყვეტენ და მორიგდებიან, მაგრამ საქმე იმაშია, წინააღმდეგობა იმაში მღვდობარობს, რომ, როდესაც მათთვის საჭირო არის საკითხი დაამტკიცონ და თავის ლელო გაიყვანონ, მაშინ პრინციპიალურად ამტკიცებენ, ხოლო როდესაც უნდათ მეორე მხრიდან მოუარონ, მაშინ პრინციპს უკუ აგდებენ და ამტკიცებენ პრაქტიკულ მოსაზრებით.

რაც შეეხება თითონ არსებითად საკითხს, საკითხი ესე არის. ჩვენ გვეუბნებიან—მიწათ-მოქმედების სამინისტრო არ არის ისე დატვირთული, როგორც განათლების სამინისტრო და ამ მოსაზრებით ამბობენ, რომ განათლების სამინისტროს არ შეუძლიან კიდევ ზედმეტი ტვირთის აღებაო. რასაკვირველია, ჩვენ ვერ გამოვალთ განათლების სამინისტროს დამცველად, მაგრამ, როდესაც ისმება საკითხი პრინციპიალურად, რომ ყოველივე სკოლები გადაეცეს ერთ უწყებას, განათლების სამინისტროს, რატომ უნდა შეადგენდნენ გამოთქმის ის სამეურნეო სკოლები, რომელთაც მართლა ძირითადი საფუძვლიანი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის.

უნდა ვკითხო მომხსენებელს და სხვებს,—თუ კი სამხედრო სკოლები, სადაც უნდა ასწავლონ ხალხს თოფის სროლა, შეიძლება გადაეცეთ განათლების სამინისტროს, თუ კი შეიძლება სამრსწველო სკოლები, საგაქრო სკოლები, რკინის გზის სკოლები გამოვაცალოთ სპეციალურ სამინისტროს, რომელსაც



უკვე აქვს თავის სპეციალური აპარატი, თავის სპეციალური ცოდნა ანა ტუნიმ დარგში, თუ კი ამ სკოლებს ჩვენ ვაცლით ამ სამინისტროებს, და განათლების ეთანხმებინან, და ვაძლევთ განათლების სამინისტროს, რატომ უნდა მოხდეს სამეურნეო სკოლების გამოყოფა და განცალკევება და რა რატომ უნდა დარჩეს ეს მიწათ-მოქმედების სამინისტროში? რასაკვირველია მემარჯვენებს თურმე სჩვევიათ გულში ხელის ფათური. ეს შეიძლება იმ სახელმწიფოში, საცა მემარჯვენეები ბატონობენ, მაგრამ ამ სამინისტროში, საცა მემარცხენეები ბატონობენ, იმათაც სჩვევიათ გულში ხელის ფათური.

ბატონებო, აქ უთქვამთ, ჩვენი კამათი არის გამოწვეული იმით, რომ ჩვენ არ გვინდა, რომ ეს აგრარული რეფორმა მიწად-მოქმედების სამინისტრომ განხორციელებაში მოიყვანოსო. ჩვენ კამათს ამ საკითხთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. ბატონი მომხსენებელი სრული ფანტაზიური გახლავთ, რომ რაიმე კავშირი ჰქონდეს აგრარულ რეფორმას და სამეურნეო სკოლებს. მხოლოდ ამისთანა ფანტაზიის ადამიანს შეუძლიან დაუკავშიროს სამეურნეო სკოლები აგრარულ რეფორმასთან. პირდაპირი მისი სიტყვა იყო,—რადგანაც მიწად-მოქმედების სამინისტრო ანხორციელებს აგრარულ რეფორმას, ამისთვის მას აქვს სათანადო აპარატი, იმიტომ მას უნდა გადაეცეს სამეურნეო სკოლებიო. პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ აგრარულ რეფორმას აქვს დაკავშირება ბ. მინისტრთან, და ეს აგრარული რეფორმა მოითხოვს დიდ საქმიანობას, და სწორედ იმიტომ, რომ, თუ მას აგრარულ რეფორმაზე უკვე წინასწარ მეურნეობაზე ოდნავი მინც წარმოადგენა აქვს, იცის, რომ ასეთი რეფორმა, სწორედ მეურნეობის საწინააღმდეგო რეფორმა არის, ყოვლად შეუძლებელია სამეურნეო სკოლების, რომელიც აშენებული არის, და აშენებული უნდა იყოს სამეურნეო მეცნიერებაზე.—სკოლები გადაეცეს იმისთანა სამინისტროს, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს სამეურნეო განათლებაზე, სამეურნეო მეცნიერებაზე.

ბატონი მინისტრი აქ ბრძანებს, რომ ყოველ სამინისტროში, ყველა სპეციალურ დარგში სპეციალური მომზადება და განათლება უნდა იყოსო. არ ვიცი, თუ ეს ბატონ მინისტრმა იცის პირველ დღიდანვე უნდა უარი გამოეცხადებინა თავის მინისტრობაზე იმიტომ, რომ არავითარი განათლება, არავითარი მომზადება, ცოდნა სპეციალურ საგნისა ამ უწყების სახელმძღვანელოთ მას არა აქვს. ეს აქ მოსატანი არ იყო, და ეს პირველად თავის თავზე უნდა იყოს მოსატანი და არა სხვებზე. და როდესაც ბატონი მინისტრი იმ დარგში, რომელსაც ხელმძღვანელობს არის, ესე ვსთქვათ, დაღეტანტი, შეუძლებელია, რომ მან მოითხოვოს ის, რომ ყველა დარგში იყვნენ სპეციალისტები.

ბატონებო, სწორედ ამ სამინისტროს შესახებ იყო წარსულ კრებაზე ლაპარაკი, რომ ამ სამინისტრომ საქართველოში ვერ გამოძებნა ისეთი ხალხი, რომელიც სპეციალისტი იყოს ამ დარგში, თუმცა უნდა ვსთქვა რეგისტრატორები და მანქანაზე გადამწერი ქალები და კაცები—ისეთი დიდი სპეციალისტები ირ არიან, რომ მათი მოძებნა საქირო იყოს უცხო ელემენტებში. და თუ თავის განკარგულებით სპეციალურ დარგში ვერ მოძებნა და ვერ მოიპოვა ისეთი ხალხი, რომელიც შეასრულებს ამ დავალებას, რომელიც აკისრა მას სამინისტრომ—და რა მდგომარეობაში ჩავარდება ეს მინისტრი, რომ იმას დაეკისროს კიდევ ახალი დარგი მეცნიერებისა, რომელშიაც დასჭირდება სპეციალისტები? როდესაც საქართველოში ვერ იშოვის სპეციალისტებს მოიწვევს უცხოელებს, მოიწვევს იმ რუსებს, რომელთაც მთელი სია აქ წავგიკითხეს წარსულ



კრებაზე. თუ ესე მოიქცა, განა ჩვენ შეგვიძლიან ნდობით შოვევიდლო იმ სა-
მინისტროს და ჩვენი განათლების უწინაშენლოვანესი საკითხი, — ისეთი დარგი,
როგორც არის სამეფორნეო სკოლები, მივანდით იმ სამინისტროს, რომელმაც
სპეციალისტები ვერ მოძებნა საქართველოში და ჩააყენა უცხოელები?

ამისთანა მინისტრს ნდობას ვერ გამოუჭხადებთ.

ეს შემარჯვენეთა ახირებული მდგომარეობა კი არ არის, ეს ესე იყო, და
ეს ესე იქნება, რომ ჩვენ ამ სამინისტროს, რომელიც თავის ძლიერებას დაამ-
ყარებს არა საქართველოს შეილებზე, არამედ უცხოელებზე, სუყოველთვის უნ-
დობლობას გამოუჭხადებთ. ეს უნდობლობის აღმოჩენა არ არის და ეს ასე იყო
და ასე იქნება კვალაც.

ბატონი მისისტრი შეეცადა, რომ წარსულ კრებაზე მათდამი გამოთქმული
ბრალდება გაექარწყლებინა, და სიტყვა, რომ ვითომ ეს სამინისტროს განზრახ
არ ჩაუდენია. ჩვენ არ ვიცით განზრახ ჩაიდინა ეს თუ არა, მაგრამ ასეთი ფა-
ქტია, რომ ბევრი სპეციალისტები ჰყავდა. აი, მაგალითად, ერთი სპეციალისტი
იყო, არ ვიცი შეიძლება მეტი სპეციალისტებიც იყო, მე ვიცი ჭრთი სპეცია-
ლისტი ბუღალტერი, რომელიც 25 წელიწადი მსახურობდა, და ბატონი ველფი-
შვილმა ბრძანა, რომ ასეთს. მაშინვე დავითხოვთო. ის გააგდეს და მის მა-
გივრათ რუსი დააყენეს. არ ვიცი, ეს ალბათ განზრახ არ მოსვლიათ. (ხმა: უკვე
სამი საათია).

თავმჯდომარე. უკაცრავათ, რადგანაც სამი საათია, კრებას უნდა შევე-
კითხო გენბავთ, განვაგრძოთ, თუ არა? ვინ არის წინააღმდეგი? მე მგონი უმ-
რავლესობა იმ აზრისაა, რომ კრება დაიხუროს.

რ. გაბაშვილი. სიტყვა დავამთავრო თუ არა?

თავმჯდომარე. სიტყვის დამთავრება იმაზე იქნება დამოკიდებული, კე-
თილ ინებებს პარლამენტი, რომ გააგრძელოს კრება, თუ არა. თქვენ სიტყვას
დაამთავრებთ შემდეგ სხდომაზე. სიტყვა ექუთენის განცხადებისთვის მთავრო-
ბის თავმჯდომარეს.

მთავრობის თავმჯდომარის განცხადება.

ნოე ჟორდანიძე. ბატონებო, მე მაქვს პატივი ვაცნობოთ შემდეგი.

თქვენ ალბათ იცით, ისე როგორც ჩვენ ვიცით, რომ საქმეები ჩვენი უფრო
და უფრო რთულდება და მრავლდება. მაშინ, როდესაც სრული კომპლექტი
მინისტრებისა არ გვყავს. ერთი მინისტრი არის ბერლინში, ამიტომ ჩვენ ვი-
ყავით იძულებულნი, ორი უწყება ჩაგვებარებინა ერთ მინისტრისთვის. როგორც
იცით საგარეო სამინისტროს მართავს შინაგან საქმეთა მინისტრი, მაშინ რო-
დესაც, იმავე დროს საგარეო საქმის მინისტრს აქ ჰყავდა ამხანაგი. ეს ამხანაგი
დღეს აქ არ არის, წივიდა, მაგრამ რადგანაც საგარეო საქმეები უფრო მრავლ-
დება და რთულდება, ჩვენ განზრახული გვაქვს, რომ იქნეს სპეციალური კაცი
მოწვეული, რომელიც საგარეო საქმეს მართავდეს და აგრეთვე სხვა საქმეებს,
რომელსაც მთავრობა მას მიანდობს.

ამიტომ მე ვთხოვე ევგენი გეგეჰკორს შემოსულიყო ესლა, როგორც მი-
ნისტრი უპორთფელო და მიელო თავის თავზე საგარეო საქმეები. ის დამეთან-
ხმა, და დღეს ჩვენ მთავრობაში ითვლება ევგენი გეგეჰკორი, როგორც მინის-
ტრი უპორთფელო და მართველი საგარეო საქმეებისა (ტაში).

უნდა ვთქვა ისიც, რომ დღეს ეს ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, ვინაიდან
დღეს ბევრი რთული საგარეო საქმეება არის, ჩვენ ვთვლით საჭიროთ, რომ

თვით საგარეო მინისტრი იყოს აქ, მაგრამ ვინაიდან იქიდან, ბერნიდან ჩვენს ქალაქის ჩამოსვლა არ შეიძლება, ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ,—ჩვენკელი დავტოვოთ იქ, როგორც საგარეო მინისტრად და ელჩად. მხოლოდ გვეგექვსი დავტოვოთ აქ, როგორც საგარეო მინისტრად უპორთფელოთ, დროებით, თავმჯდომარე. კრებას ვებურავ. კრება იხსურება 3 საათსა და 10 წუთზე.

მთავარი კორექტურული შეცდომები.

დამატება № 81. შემდეგი მთავარი კორექტურული შეცდომებია:

31 გვერდი. მე-8-ე სტრიქონში, თავიდან სწერია: უნდა დაიცვას. დედანშია: უნდა ითქვას.

33 გვერდი. მე-13-ე სტრიქონში, თავიდან, სწერია: ბოლოს უკანასკნელი რეგლამენტი. დედანშია: ბოლოს უკანასკნელი არგუმენტი.

33 გვერდი. მე-14-ე სტრიქონში სწერია: ჩვენ ბოლოს ყველანი თანახმანი ერთად მაინც თანახმანი ვართ. დედანშია: ჩვენ ბოლოს ყველანი ერთში მაინც თანახმანი ვართ.

33 გვერდი. მე-13-ე სტრიქონში ბოლოდან სწერია: ამაშია მთელი ჩვენი მართველობა. დედანშია: ამაშია მთელი ჩვენი მოვალეობა.

33 გვერდი. მე-6-ე სტრიქონში ბოლოდან სწერია: სანამ რუსეთში უკეთესი კომბინაცია მოხდა. დედანშია: სანამ რუსეთში უკეთესი კომბინაცია მოხდება.